პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციასთან საქმეებისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—53

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

პარასკევი, 28 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 272 (1127)

დეპეშები

— ინგლისის მოთხოვნილებით ეგვიპტის ჯარმა დასცალა სუდანი.

— საფრანგეთის ბურჟუაზია ძლიერ დაშინებულია კომუნისტების მიერ ჟორესის ნეშტის გადატანის დროს გამართული დემონსტრაციით.

— გერმანიის კომპარტიამ დიდი დემონსტრაცია მოაწყო პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოდ.

— ამ დღეებში დაიდება ინგლის და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულება.

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა დეკემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაზეთი ღირს თვიურათ 65 კაპ.

დანარჩენებისათვის (თბილისში მიტანით 85 კ.
(პროვინციაში გაგზ. 95 კ.

იბეჭდება და ამ დღეებში უფასოთ დაურიგდება ყველა ხელისმომწერთ.

„ჩირაღდანი“

პარტიის არაპროლეტარული შემადგენლობის შემოწმება

ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული სათანადო ცირკულიარი და ინსტრუქცია ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების არაპროლეტარულ შემადგენლობის შემოწმების შესახებ, რომლის ჩატარება განზრახულია ახლო მომავალში.

პარტიული მასსა კარგად უნდა გაერკვეს ამ ღონისძიების ამოცანებსა და მნიშვნელობაში. არც ერთ სხვა პარტიას არ ახასიათებს ისეთი თვითშემოწმება, როგორც ჩვენს პარტიას. ჩვენ მას ვანხორციელებთ ყოველდღიური მუშაობის გზით, საკონტროლო ორგანოების და სხვა საშუალებით, აგრეთვე სპეციალური კამპანიის სახით.

პარტიის შემადგენლობის ეს გასინჯვა და გაწმენდა მიზნად ისახავს პარტიული მუშაობის გამოცხოველებას, პარტიული ორგანიზმის გაჯანსაღებას, მისგან ყოველგვარ მუწუკის და ჩირქის მოშორებას.

ჩვენი პარტია მმართველი, სახელმწიფოებრივი პარტიაა. მას ბევრი უხდო ელემენტი ეტანება ანგარების [illegible]

ამასთან თვით ის ფაქტი, რომ ჩვენ სახელმწიფოებრივი პარტიას წარმოვადგენთ,—თავისთავად შეიცავს ერთგვარ საფრთხეს—პარტიის ცალკე წევრების შინაგანი გარდაშენებისას, მათი მოწყვეტისას მასსებიდან.

სახელმწიფო აპარატში ჩვენი პარტიის წევრებს უშუალოდ უხდებათ მუშაობა ძველი რეჟიმიდან დარჩენილ პირებთან, რომლებმაც თან მოგვიტანეს თავიანთი ძველი ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი.

გარდა ამისა ჩვენს საბჭოთა აპარატს აწვება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე აღმოცენებული ბურჟუაზია.

პარტიის წევრს დიდი სიმტკიცის და სიფრთხილის გამოჩენა მმართებს, რომ ის არ დაემორჩილოს ბურჟუაზიულ სტიქიის და ბიუროკრატიზმის გავლენას და ურყევად გაატაროს ყველგან კომუნისტური ხაზი.

ამ მიზნით ჩვენ რამოდენიმეჯერ ჩავატარეთ პარტიის გენერალური გაწმენდა, რამაც უეჭველად გამოიღო დადებითი ნაყოფი,—პარტიას ჩამოაცილა უვარგისი და ზედმეტი ელემენტი და საერთოდ გააჯანსაღა პარტიის ორგანიზმი, გამოაცოცხლა მისი მუშაობა.

ამავე დროს პარტიაში მუშების მასიურმა მიღებამ უფრო პროლეტარული გახადა მისი შემადგენლობა, უფრო დაუკავშირა ის უპარტიო მშრომელ მასსას და უზრუნველჰყო პროლეტარულ ხაზის გატარება.

შემდეგი ნაბიჯი ამ მიმართულებით წარმოადგენს პარტიის არაპროლეტარულ ელემენტების შემოწმება, რასაც შეუდგებით სათანადო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის დამთავრებისას.

ნურავინ იფიქრებს, რომ თითქოს ეს ზომა წარმოადგენდეს უნდობლობის გამოცხადებას პარტიის არაპროლეტარულ შემადგენლობისადმი. სრულებითაც არა. ამით ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით საბჭოთა და სასწავლებელთა უჯრედებს და მათ წევრებს, რათა მათ შესძლონ თავიანთი ცალკე ასეთი ელემენტების ჩამოშორება თუ გასწორება, რომელნიც ჩირქს სცხებენ პარტიას თავიანთი მოქმედებით და ყოფაქცევით, რომელნიც ხელს უშლიან პარტიის ხაზის გადაუხვევლად გატარებას სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში.

ასეთი ელემენტები კი უეჭველად მოიპოვებიან. ჩვენ ვთქვით, რომ სახელმწიფო აპარატი ისეთი ადგილია, სადაც მშრომელი მასსების უშუალო გავლენა ნაკლებია და სადაც ჩვენი ამხანაგები გარშემორტყმული არიან ბიუროკრატიზმის და ბურჟუაზიული სტიქიის ატმოსფეროთ. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომა, რათა პარტიის წევრებმა იქ დასძლიონ ეს მომშხამველი ატმოსფერა და ღირსეულად ატარონ კომუნისტის საპატიო, მაგრამ ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლო სახელწოდება. საბჭოთა პარტუჯრედების და მათი წევრების შემოწმება ამისათვის ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რას უნდა მიექცეს წმენდის დროს უმთავრესი ყურადღება? უნდა იქნას შესწავლილი არა მარტო თითეული წევრი პარტიის, არამედ მთელი უჯრედი, მთელი ორგანიზაცია. როგორ მიმდინარეობს იქ მუშაობა, რა საკითხებს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას, აქვს თუ არა იქ ადგილი რაიმე [illegible] და „გადახრას“; გამოკვლეულ უნდა იქნეს პარტუჯრედის ცხოვრების სუსტი მხარეები, ნაკლულევანებანი და ამასთან გათვალისწინებული მისი გაჯანსაღების საშუალებანი.

დიდი დაკვირვების და სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს პარტიის თითეული წევრის შესწავლის დროს. ჩვენ მას უნდა მივუდგეთ არა როგორც ბრალმდებელი ბრალდებულს, არამედ ამხანაგურად და მიზნად უნდა ვისახავდეთ, რათა ის გამოსწორდეს, თუ რაიმე ნაკლი გააჩნია რათა მისი პარტიული და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ჩადგეს ნორმალურ პირობებში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარტწევრის წარსულს, მის დამოკიდებულებას სხვა ამხანაგებთან, მის ყოფაცხოვრებას. უნდა იქნას გამორკვეული, აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი (პირადი, ნათესაური და სხ.) ანტისაბჭოთა და „ნეპმანურ“ ელემენტებთან. განიცდის თუ არა ამ კავშირის უარყოფითი გავლენას.

უნდა იქნეს შესწავლილი პარტწევრი კომუნისტური მორალის თვალსაზრისით. კომუნისტური მორალი ბოლო დროს საჭირ-ბოროტო საკითხადაა გადაქცეული და მას უნდა მიექცეს გაცილებით მეტი ყურადღება, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი, იჩენს თუ არა პარტწევრი ბიუროკრატიულ მიდრეკილებებს, ან პირადი გამორჩენისა და კარიერისადმი მისწრაფებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში აგრეთვე იმის გამორკვევას თავისუფალია თუ არა პარტწევრი ნაციონალისტური პსიქოლოგიიდან.

მრავალი სხვა საკითხებია, რომელნიც მოითხოვენ დაწვრილებითი გაშუქებას პარტიის არაპროლეტარულ ნაწილის წმენდასთან დაკავშირებით.

ეჭვი არ არის, რომ გამწმენდი კომისიები განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით და შეგნებით მოკიდებენ ხელს დავალებულ საქმეს. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თვით უჯრედები, მთელი პარტიული მასა, აგრეთვე უპარტიონიც დაეხმარონ მათ უტყუარი ცნობების მიწოდებით. მათ ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ კამპანიაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩატარდება ის უმტკივნეულოდ და ნაყოფიერად.

ჩვენი საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ

განათლების დარგში რომ ჩვენ წარმატების გზით მივდივართ, რომ ჩვენი სკოლები როგორც რიცხობრივათ, ისე თვისებრივათ ამ 3 უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდა, ეს უდავო ფაქტია. ამ მხრით ვერ შეგვედავებიან, ვერ გვიკიჟინებენ საბჭოთა წესწყობილების თვით უფრო უარმყოფელნი და მოწინააღმდეგენი. საილუსტრაციოთ ჩვენ შეგვიძლია მოვმართოთ ზოგიერთ ციფრებს. ქუთაისის მაზრაში 1921 წელს მოწაფეთა რიცხვი 21.000-ს უდრიდა, 1924 წლისათვის კი ეს რიცხვი 38.000-დი გაიზარდა. ამასთან შეფარდებით გაიზარდა მასწავლებელთა და სკოლების რიცხვიც. ასე რომ აღნიშნულ მაზრაში დღეს 1300 მასწავლებელი და 250-მდი სკოლა ითვლება.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მოთხოვნილებას: გლეხებს მათი ბავშვების სკოლაში მიღებაზე უარს ვეუბნებით; არ გვყოფნის მასწავლებელთა არსებული შტატი..

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გლეხობაში დიდათ გაიზარდა სწავლა-განათლების წყურვილი. ბევრს ადგილას აგებენ სასკოლო შენობებს (ასეთი შენობები დაწყებულია ამ ორი წლის განმავლობაში ქუთ. მაზრაში 7 სხვადასხვა ადგილას; ამ შენობების სიდიდე 10—25 ოთახით განისაზღვრება); ბევრი ადგილიდან მოდიან გლეხთა დელეგაციები ადგილობრივ ხელისუფლებასთან სკოლის გახსნისა და მასწავლებლების მიცემის შესახებ. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ მოსახლეობის ამ გაძლიერებულ მისწრაფებას განათლებისაკენ ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ. ბევრი ისეთი გლეხის შვილი, რომელიც ადგილობრივ გამგესთან გამოცხადებულა სკოლაში მიღების თხოვნით, სკოლის გარეთ რჩება, წერა-კითხვის უცოდინარი რჩება.

და აი, სწორეთ აქ იბადება ერთი ძირითადი წინააღმდეგობა ჩვენ საგანმანათლებლო მუშაობაში. ჩვენ გაძლიერებული ტემპით ვატარებთ მთელი საკავშირო რესპუბლიკების მასშტაბით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანიას; ამ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, რათა განვახორციელოთ, შევასრულოთ დიდი მასწავლებლის ანდერძი და ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ გვეყოლოს.

რასაკვირველია, ეს დიდი საქმეა. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ 30, 35 წლის გლეხს წერა-კითხვის სასწავლათ და იმავე დროს, შეიძლება იმავე გლეხის შვილებს სკოლის გარეთ ვტოვებთ, წერა-კითხვის უცოდინარათ ვტოვებთ. გლეხიც ძალიან კარგათ გრძნობს ამ ლოღიკურ შეუსაბამობას, ამ წინააღმდეგობას ჩვენს საგანმანათლებლო მუშაობაში და როდესაც მას უხსნით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობას, როდესაც მას სალიკვიდაციო პუნქტზე ვეძახით, ის გვეუბნება და სრულიად სამართლიანად გვიპასუხებს ჩვენს მოწოდებაზე: მე დღემდი ასე გამიტარებია ჩემი ცხოვრება, აწიც ასე შევძლებ გავატარო, ბავშვს მისწავლეთ ეს წერა-კითხვა, სკოლაში მიიღეთო. როგორ გავსცეთ ამაზე გლეხს პასუხი? რასაკვირველია, ძნელია ამაზე პასუხის გაცემა ისე, თუ მთავარ კითხვას, რომელიც ამ პასუხში იმარხება, გვერდს არ აუვლით.

ამიტომაა, სხვათა შორის, რომ ადგილობრივად მომუშავეებს მეტად გვიძნელდება წერა-კითხვის სალიკვიდაციო კამპანიის წარმატებით ჩატარება, და ძლიერ საძნელოც იქნება მისი წარმატებით ჩატარება, ეს მუშაობა თავის დიდ მნიშვნელობას მოკლებული იქნება იმ დრომდე, სანამ ჩვენ არ მოვახერხებთ სავალდებულო სწავლის პრინციპის განხორციელებას, სანამ სავალდებულოდ არ გამოვაცხადებთ, რომ გლეხმა თავის სასკოლო ასაკის ბავშვი უსათუოდ სკოლაში მისცეს. ასე რომ სავალდებულო სწავლის პრინციპის გატარება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის მუშაობა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ მეორე პირველის განხორციელების გარეშე მოკლებული იქნება თავის მნიშვნელობას. მაგალითად წელს, ქუთაისის მაზრაში 15.000 წერა-კითხვის უცოდინარის ლიკვიდაცია უნდა მოვახდინოთ, იმავე დროს კი იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დაახლოებითი სისწორით ჩვენ მიერ ჯერ-ჯერობით შეკრებილია, ამ წელიწადში თითქმის 10—12 ათას სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლის გარეთ დარჩება. (მარტო ერთ ბაღდათის თემში ჩვენ მიერ შეკრებილი დაახლოვებითი ცნობებით 2000 სასკოლო ასაკის ბავშვი დარჩენილა სკოლის გარეთ; აქედან 500-დი სკოლის გამგესთან გამოცხადებულა მისაღებათ და გამგეს უადგილობის გამო უარი უთქვამს, დანარჩენი კი არ გამოცხადებულა; აქედან სჩანს, რომ ჩვენ არა თუ სავალდებულო სწავლის განხორციელებიდან შორსა ვართ, არამედ თვით მთხოვნელებსაც კი ვერ ვაკმაყოფილებთ) ასე რომ თითქმის ერთი იმდენი დაბალ ასაკისა, რამდენ მოზრდილსაც ამ წელიწადში წერა-კითხვა უნდა ვასწავლოთ, წერა-კითხვის უცოდინარათ რჩება. *)

ამ პირობებში ჩვენ ვერ განვახორციელებთ ლენინის დიდ ანდერძს და ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარი ისევ მრავლად გვეყოლება. ასეთ მდგომარეობას, ამ წინააღმდეგობას თავი უნდა დავაღწიოთ. უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის მუშაობის სიმძიმე ქვევით უნდა გადავიტანოთ, ქვევიდან უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს, თვარა ჩვენი მუშაობა სიზიფისეური იქნება.

სამწუხაროთ, ისეთ მოვლენას აქვს ადგილი, რომ შარშან არსებული მასწავლებელთა შტატის შესაბამისათ საჭირო თანხაც კი იკვეცება და მცირდება. მაგალითად, ქუთაისის მაზ. მასწავლებელთა შარშანდელი შტატის დასაკმაყოფილებლათ აგვისტოში მივიღეთ 40.488 მანეთი, ოქტომბერსა და ნოემბერში კი—36.375 მანეთი. ასე რომ 4.000 მანეთზე მეტია დაკლებული. გარდა ამისა თუ განაკვეთების უკანასკნელ გადიდებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ეს დანაკლისი 5.000 მანეთამდი აღწევს. გვეუბნებიან, რომ ეს ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვაში, სამაზრო ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა გატარდესო. სამაზრო ხარჯთ-აღრიცხვა კი თვითონ თავათ დეფიციტიანია, მაგრამ კიდეც რომ ის მოთხოვნილება გატარდეს სავსებით, რომელიც სამაზრო ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი, ჩვენ მაშინ მხოლოდ შარშანდელ შტატის შესაბამ თანხას შევავსებთ და გავასწორებთ, ხოლო შტატის გადიდებაზე ლაპარაკი მაინც ზედმეტი იქნება. პირველ მისაღებ ახალი ჯგუფების გახსნას რომ თავი დავანებოთ, მდგომარეობა მაინც გამოუსწორებელი დარჩება, რადგან, ჯერ ერთი, არსებულ სკოლებში ჯგუფების ბუნებრივი ზრდა მოხდა (მაგ. იქ, სადაც 3 ჯგუფი იყო, მეოთხე ჯგუფი ხომ უნდა მომატოს წელს! და, მეორეც, სოფლის სკოლებში ხშირია ისეთი მოვლენა, რომ 2 ან 3 ჯგუფს ერთი მასწავლებელი ამეცადინებს;—ჩვენ ცნობები გვაქვს იმის შესახებაც, რომ ზოგიერთ ადგილს ერთ მასწავლებელს 4 ჯგუფთან მეცადინეობა აქვს დაკისრებული; მაგრამ რასაკვირველია, ეს მასიურ მოვლენათ არ ჩაითვლება. აი ასეთი არანორმალური მდგომარეობა მაინც გამოუსწორებელი დარჩება და ასეთ მდგომარეობაში მყოფ სკოლაში რამდენათ მოსახერხებელი იქნება არა თუ სკოლის ახალი პრინციპების მიხედვით მუშაობა, არამედ თვით ელემენტარული პროგრამის შესრულებაც კი, ეს ადვილი წარმოსადგენია.

თუ რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების მიერ იმ არასასურველ მოვლენების მოსასპობათ და არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლათ, რომელზედაც ზევით მიუთითეთ, გადაუდებლად არ იქნა ზომები მიღებული და მაქსიმუმი მატერიალური საშუალებებისა ამისთვის არ იქნა გაღებული, ისე ჩვენ ვერ განვახორციელებთ ვერც ლენინის ანდერძს და ვერც საერთოთ ხალხის საუკუნოებრივი სიბნელისა და უმეცრებისაგან სინათლეზე გამოყვანის დიდ საქმეს.

თ. ჭუმბურიძე.

---

*) მე მომყავს ქუთაისის მაზრის ცნობები როგორც იქ მომუშავეს ამ დარგში.

უცხოეთის პრესა

„როტე ფანე“ „ტროცკიზმის“ შესახებ

ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლით გამოწვეულ კამათს გამოეხმაურენ უცხოეთის გაზეთები სხვადასხვა მიმართულების. ვრცელი წერილი უძღვნა საკითხს „რა არის ტროცკიზმი?“ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ „როტე ფანე“-მ. ჩვენ ძმურ პარტიებს ეს ახალი კამათი აინტერესებთ არა მარტო იმიტომ, რომ ის არსებითად გაგრძელებაა ძველის, რომლის შესახებ მათ შეადგინეს გარკვეული აზრი სადაც დაგმობილი იყო ყოფილი ოპოზიციის გამოსვლები და მოწონებული ცენტრალური კომიტეტის და ბოლოს მთელი პარტიის ხაზი—არამედ იმიტომაც, რომ ამხ. ტროცკიმ თავის წიგნში ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ აღძრა ისეთი საკითხებიც, რომლებიც უშუალოთ შეეხებიან კომინტერნს და მის სექციებს.

„როტე ფანე“-ს დამოკიდებულება „ტროცკიზმისადმი“, რომლის ისტორიას ის დაწვრილებით ეხება, არის გადაჭრით უარყოფითი. გაზეთი შენიშნავს, რომ დისკუსია ტროცკის გარშემო დათავდა კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ. თავისი ახალი წიგნით ტროცკი კვლავ აღვიძებს დავიწყებულ ამბებს, რითაც სიხარულის ჟრუანტელს გვრის ჩვენ მტრებსო.

„მაგრამ—განაგრძობს გაზეთი—ჩვენი ძმური პარტია რუსეთში არის საკმაოთ ერთიანი—ლენინისტური, რომ თუ გინდ რევოლიუციის ისეთი ბელადის გადახრამ როგორიც არის ტროცკი, შეარყიოს ეს პარტია. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სდგას კომინტერნის მეხუთე კონგრესის და რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე, გმობს ტროცკიზმს როგორც ძველი ისეთი ახალი სახით და მას აუცილებლათ საჭიროთ მიაჩნია მთელი ენერგიით გადაჭრით (mit aller Entschiedenheit) გამოვიდეს წინააღმდეგ ამხ. ტროცკის ახალი ცდისა, კვლავ დაიწყოს დისკუსია, რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალს გადაახვევინებს მეხუთე კონგრესის მიერ მიღებული ხაზიდან. ჩვენი პარტიის პოლიტიკა ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ლენინიზმს (einzig und allein bestimmt son Leninismus)“.(ხაზგასმულია გაზეთის მიერ). ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ „როტე ფანე“ გამოსთქვამს არა მარტო გერმანიის კომპარტიის, არამედ უცხოეთის ყველა ძმური პარტიები ერთსულოვან აზრს, იმ პარტიების რომლებმაც რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთათ გადაჭრით დაგმეს ეგრედ წოდებული ოპოზიცია და ვით „ტროცკიზმი“.

საერთაშორისო პოლიტიკის გზები და საბჭოთა კავშირი

ამხ. რიკოვის მოხსენება ფეიქართა საკავშირო ყრილობაზე

„საერთაშორისო პოლიტიკაში მოხდა რევოლიუციისათვის საშიში გარდატეხა“

ინგლისის მინისტრების „კულტურული გინება“.—კონსერვატორების საარჩევნო ტრიუკი „ზინოვიევის წერილი“ იყო.—ინგლისის მთავრობა გაექცა ჩვენს წინადადებას. ინგლისის მთავრობა პასუხისმგებელია ხელშეკრულების ჩაშლისათვის.—დოუესის გეგმა მონობის უღელია.—საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთის ერების ერთად ერთი მეგობარია.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა

გარდატეხა საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში

ხარკოვი. 27 ნოემბ. „მე ამ მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ —დაიწყო ამხ. რიკოვმა თავისი მოხსენება ფეიქართა საკავშირო ყრილობაზე—ვაკეთებ საბჭოთა კავშირისათვის **ერთ-ერთ უძნელეს პოლიტიკურ მომენტში.** პირველი—ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ნოტებიდან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, რომ იმ რთულმა მუშაობამ, რომელსაც აწარმოებდენ საბჭოთა კავშირი და ინგლისის მუშათა მთავრობა, დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში ჩვენ ვანვიცდით გარდატეხას, რომელსაც შეუძლია **საშიში ხასიათი მიიღოს რევოლიუციის და საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის.** პაციფისტური ხანა, რომელიც ერთი წლის წინათ დაიწყო, ევროპის სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში დამთავრდა. ეხლა ძალაუფლებას სათავეში მოექცენ ისევ კერზონი და მისი ძმები, რომელთაგან არის დამოკიდებული ევროპის საერთო პოლიტიკა, რადგან ინგლისის წონა ევროპის საქმეებში მნიშვნელოვანია.

არჩევნები ინგლისში და საბჭოთა კავშირი

მუშათა პარტიამ, მიუხედავათ თავისი იმედებისა, ვერ გაძლო ძალაუფლების სათავეში. **პირველად ევროპის სახელმწიფოების ისტორიაში ასეთი დიდი როლი ითამაშა „პლატფორმამ“ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ.**

ინგლისში ხშირათ უკმაყოფილო არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირში იმართავენ არაზრდილობიან გამოთქმებს ინგლისის ამა თუ იმ მოღვაწეების მიმართ (აქ რიკოვს მოყავს ციტატები კერზონის და ლორდ ჩერჩილის სიტყვებიდან, რომლებიც მათ წარმოსთქვეს საარჩევნო კამპანიის დროს; ეს ციტატები სავსეა გინებით საბჭოთა მთავრობის მიმართ). საბჭოთა კავშირის ფარგლებში არასოდეს არ ყოფილა ხმარებული ასეთი მკაცრი გამოთქმები ინგლისის მოღვაწეების მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მოღვაწეებს არ მიუღიათ „სალონური“ აღზრდა-განათლება. მაგრამ, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ გინება, რომელსაც იმართავენ ინგლისის მთავრობის ეხლანდელი წევრები, გავლენას არ მოახდენს ინგლისის ეხლანდელი მთავრობის პოლიტიკაზე.

მიუხედავათ ამ ხალხის გაბოროტებისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი მაინც, მინისტრებათ ყოფნის **დროს, ანგარიშს გაუწევენ ინგლისის ხალხის ინტერესებს,** რადგან საარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებულ განცხადებასა და მთავრობის პოლიტიკის შორის „დიდი მანძილია“.

კონსერვატორები უხერხულ მდგომარეობაში არიან

კონსერვატორები ძალა-უფლებას სათავეში ჩაუდგნენ ზინოვიევის ყალბი წერილის წყალობით. ჩვენ გვესმის მათი უხერხული მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მათ უძნელდებათ აღიარონ ზინოვიევის წერილი ყალბ წერილათ. რადგან ასეთი აღიარება სახელს გაუტეხდა არჩევნების ძირითად მომენტებს, რომელთა წყალობითაც მოექცენ კონსერვატორები ძალაუფლების სათავეში. ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო ერთად გაგვერჩია ეს მდგომარეობა, რომ გამოგვენახა გამოსავალი იქიდან. მაგრამ **საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეუძლია ინგლისის მთავრობის კარგ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით „ზინოვიევის წერილი“ აღიაროს ნამდვილ წერილათ, რადგან ის მაინც ყალბია.** ეს იცის რუსეთის თითეულმა მუშამ. ეს იცის ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციამ, რომელიც ჩამოვიდა პროფკავშირების სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

კონკრეტიული ბრალდებების მაგივრათ—საერთო ადგილები

ინგლისის მთავრობა **უარს ამბობს დათანხმდეს ჩვენს წინადადებაზე,** რომლითაც ჩვენ მოვითხოვდით „ზინოვიევის წერილის“ საკითხის სამედიატორო სასამართლოში გარჩევას, ის ჩვენ გვიყენებს ბრალდებას იმაში, რომ „წერილი“ ნამდვილია, რომ კომინტერნი საერთოდ პროპაგანდას ეწევა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ.

კომინტერნი საბჭოთა მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა ქვეყნების ლეგალური პარტიები, მათ რიცხვში ინგლისის პარტიაც. კონკრეტიულ ბრალდებების მაგივრათ ჩვენ ხელში გვაჩრიან საერთო განცხადებებს კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია უბრძანოთ სხვადასხვა ქვეყნების ლეგალურ პარტიებს შესწყვიტონ თავისი მუშაობა. ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ ენდონ ჩვენს სიტყვას იმის შესახებ, რომ „ზინოვიევის წერილი“ ყალბია, **ჩვენ წინადადებას ვიძლევით დანიშნული იქნეს სამედიატორო სასამართლო, რომელმაც უნდა განიხილოს ეს საკითხი.**

ინგლისის მთავრობა პასუხისმგებელია ხელშეკრულების ჩაშლისათვის

ინგლისის მთავრობის შემდეგი განცხადება შეიცავს იმას, რომ მას არ შეუძლია ურჩიოს თემთა პალატას დაამტკიცოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დაინტერესებულია **არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ ინგლისის ხალხიც**—მათ რიცხვში ინგლისის ბურჟუაზიაც. ყველა მუხლები ერთნაირათ სასარგებლოა, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე ინგლისისათვის. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე ქვეყნის ინტერესები; ამ ხელშეკრულებას მიზნათ ჰქონდა ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირსა და ინგლისის შორის. **პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ჩაშლისათვის, რაც საზარალოა ორივე მხარისათვის, მთლიანად ეკისრება ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას.**

შეიძლება, ინგლისის მთავრობამ ჩვენ სხვა წინადადებები მოგვცეს. ჩვენ უარს არ ვამბობთ მათ განხილვაზე, **მაგრამ ჩვენი დათმობა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებაში მაქსიმალურია.** ცაკის უკანასკნელ სესიაზე უკმაყოფილებაც კი იყო გამოთქმული ასეთი მეტისმეტათ საგრძნობი დათმობის გამო. მაგრამ გაუგებარია ის, რომ საკითხს ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების შესახებ ორივე ქვეყნებს შორის უკავშირებენ ყალბ წერილს.

ნორმალური ურთიერთობა სასარგებლოა ორივე მხარისათვის

ორივე ქვეყნის ინტერესები გვიკარნახებენ გამოვნახოთ საშუალება „ზინოვიევის წერილით“ გამოწვეული ინციდენტის მოსაგვარებლათ; საჭიროა გადავიდეთ ნორმალურ ურთიერთობაზე. **ასეთი ურთიერთობა ადრე თუ გვიან მაინც დამყარდება ჩვენს შორის, რასაც მოწმობს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების დაახლოვება ინგლისის პროფკავშირებთან და საერთო ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნა, რომელმაც უნდა იბრძოლოს პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტისათვის.**

ეს მთლიანობა განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის ამჟამად, როცა ევროპის ყველა ქვეყნებში ფეხს იკიდებს შოვინისტური ტენდენციები, **მუშათა ერთიანი ფრონტი აუცილებელია პროლეტარიატის ინტერესების დაცვის საქმის უზრუნველსაყოფად მთელს მსოფლიოში.**

დოუესის გეგმა

გერმანიის თანამედროვე საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა განისაზღვრება დოუესის გეგმის გატარებით. ეს ნიშნავს გერმანიისათვის **პოლიტიკური და სამეურნეო დამოუკიდებლობის დაკარგვას და მის გადაქცევას დასავლეთ-ევროპის კაპიტალის ახალშენად.**

შეთანხმება საბჭოთა კავშირთან

როგორიც არ უნდა იყოს გერმანიის მთავრობა, **მან უნდა აიღოს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გეზი,** ვინაიდან ასეთი გეზის აუცილებლობას არ აქვს გარდამავალი მნიშვნელობა, არამედ ის დამყარებულია ორთავე ქვეყნის ხანგრძლივ ურთიერთ ეკონომიურ ინტერესებზე.

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობა

ჩვენი იურიდიულად ცნობა საფრანგეთის მიერ **მოხდა იმ დროს, როცა ყველაზე უფრო გააძლიერეს ინგლისის კონსერვატიულმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. კრასინი მიემგზავრება პარიზში, სადაც დაიწყება მოლაპარაკება მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებზე. დღემდე ჩვენ არ გვქონია საფრანგეთის მხრივ რაიმე წინადადება ვალების და სხვა ეკონომიურ საკითხებში, აგრეთვე პოლიტიკურ საკითხებში შეთანხმების შესახებ. ჯერ კიდევ ცნობის აქტამდე საფრანგეთი სინჯავდა საამისო ნიადაგს. მაგრამ ეხლა, როცა გვაქვს ფორმალური შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, ჩვენ **შევძლებთ ადვილად მოვაწესრიგოთ ბევრი საკითხები ცხოვრების მრავალ დარგში.**

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი მეგობარია აღმოსავლეთის ხალხების

ევროპის იმპერიალისტური მთავრობები განსაკუთრებით უკმაყოფილო არიან საბჭოთა კავშირის და საბჭოთა მთავრობის პოპულარობით აღმოსავლეთის ხალხებს შორის. ისინი ცდილობენ ეს პოპულიარობა ახსნან რაღაც გაძლიერებული აგიტაციით საბჭოთა კავშირის აგენტების მხრივ. მაგრამ ნამდვილად კი საბჭოთა კავშირის პოპულიარობა აიხსნება არა არ არსებული პროპაგანდით, არამედ იმით,—და ეს კარგადაც იციან დასავლეთის იმპერიალისტურმა მთავრობებმა,—რომ **აღმოსავლეთის ხალხები ჩვენში ხედავენ მათი ნაციონალური, კულტურული და სამეურნეო დამოუკიდებლობის მომხრეებს. აღმოსავლეთის ხალხებს შორის საბჭოთა კავშირის პოპულიარობის უმთავრესი პროპაგანდისტი არის ის ჩაგვრის და ძალადობის რეჟიმი, რომელსაც მიმართავენ აღმოსავლეთის მიმართ დასავლეთის იმპერიალისტები.**

საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმების წინ

ჩვენი მოლაპარაკება იაპონიასთან საკმაოდ დიდი ხნით გაჭიანურდა და ხშირად მოელოდა მას ჩაშლა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენს შორის დავა სწარმოებს კერძო საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, ნავთის ამოღების რამდენი პროცენტი—60 თუ 40 უნდა მივცეთ იაპონიას იმის შემდეგ როცა ის დასცლის სახალინს. მე ვფიქრობ, რომ **იაპონია წავა დათმობაზე და, ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას** ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ ორმა მსხვილმა მეზობელმა სახელმწიფომ, რომელთაც აერთებს ხელსაყრელი საზღვაო გზა, არ მოაგვარონ ერთმანეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა“.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა განმტკიცდა

ჩამოთვალა რა საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი მომენტები, ამხ. რიკოვი გადადის ჩვენი შინაური მდგომარეობის დახასიათებაზე.

— შარშანდელთან შედარებით საბჭოთა კავშირის მდგომარეობა განმტკიცდა. ჩვენ გვიცნო ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთელმა რიგმა და ჩვენი ვაჭრობა ვითარდება. ყველაფერი ეს წარმოადგენს წინასწარ პირობებს შემდეგი შინაური სამეურნეო აღმშენებლობისათვის. ერთად-ერთი საფრთხე მდგომარეობს იმაში, თუ სანამდე მივა შოვინიზმის განვითარება ევროპის სახელმწიფოებში, რომლის მოწამენი ჩვენ ვართ ამ უკანასკნელ დღეებში.

სამეურნეო განვითარება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველია

ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ამ შოვინიზმის განვითარებისათვის, წარმოადგენს ჩვენი შინაური სამეურნეო განვითარება. **ეს სამეურნეო განვითარება არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველი.** ჩვენ ვერასოდეს, ვერაფრის გულისთვის ვერ ველირსებოდით ვინმესგან ცნობას, რომ უკანასკნელ დროს არ განვითარებულიყო ჩვენი შინაური სამეურნეო ძლიერება. სცდება ის ვინც ფიქრობს, რომ სესხს იღებენ ღარიბები, სესხს იღებენ მდიდრები. **თუ ჩვენი სამეურნეო აღორძინების ტემპი არ შესუსტდება, მაშინ ორი წლის შემდეგ ჩვენ არ დაგვჭირდება ლაპარაკი სესხზე ვინაიდან ამ სესხს პირიქით შემოგვაძლევენ.**

ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი

მღელვარება გრძელდება.

ლონდონი. 26 ნოემბ. ყველა სკოლები ეგვიპტეში დახურულია, ნიშნად პროტესტისა ინგლისის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. ზაგლულ-ფაშას სახლთან გაიმართა სტუდენტების მიტინგი, რომელზედაც გამოტანილ იქნა დადგენილება განაგრძონ გაფიცვა და არ იცნონ არც ერთი კაბინეტი, რომელსაც ზაგლულ-ფაშა არ ენდობა.

ასსუანში, სადაც მდებარეობს ნილოსის ერთ-ერთი დიდი ჯებირი, დაიწყო მღელვარება. ოფიციალურად იუწყებიან, რომ **წესრიგი აღდგენილი იქნა პოლიციელების ჰაეროპლანების საშუალებით.**

სუდანის ევაკუაცია

ლონდონი, 26 ნოემბ. სუდანის გენერალ-გუბერნატორის მოადგილის განკარგულებით, ეგვიპტის ერთმა ბატალიონმა დასტოვა სუდანი, მეორე ბატალიონი კი გაყვანილი იქნება ამ დღეებში.

ცრუ სოციალისტები

ნიუ-იორკი. 26 ნოემბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ უარყო რეზოლიუცია შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ, გომპერსი და სხვა ლიბერალები ილაშქრებდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კერძო საკუთრების გაუქმებისა და დემოკრატიის მოსპობისათვის. გომპერსი თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ კომუნისტებს განზრახული აქვთ დაშალონ ამერიკის შრომის ფედერაცია, რათა წინასწარი ნაბიჯი გადასდგან ამერიკის მთავრობის ჩამოგდებისაკენ.

გერმანიის გლეხთა კონფერენცია

ვეიმარი. 26 ნოემბერი. ვეიმარში შესდგა გერმანიის გლეხთა კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო გლეხთა ინტერნაციონალის მომხრე სოფლელ მეურნეების (წვრილ მოიჯარადრეების და კოლონისტების) გაერთიანების მიერ. კონფერენციამ **უკმაყოფილება გამოთქვა იმ საგადასახადო სისტემით; რომელსაც ახორციელებს მემამულეების გავლენის ქვეშ მყოფი მთავრობა.** გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ **იმ დროს, როცა მემამულეებს უფლება ეძლევათ თვითვე გამოარკვიონ თავიანთი შემოსავალი, გლეხობა სავსებით დამოკიდებულია იმ საგადასახადო კომისიების გადაწყვეტილებებზე, რომლებშიაც შედიან მემამულეები.** იყო შემთხვევები, როცა გლეხობას ბეგრავდენ წმინდა შემოსავლის 50 პროცენტით. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მოუსავლიან ადგილების წარმომადგენლების მოხსენებებმა. **სასტიკად გააკრიტიკეს მთავრობის მიერ თავისი დაპირების შეუსრულებლობა მიწების დაყოფის შესახებ.** კონფერენციის **ორგანიზატორებმა** შესძლეს კონფერენციაზე წარმოდგენილ ორგანიზაციების გაერთიანება შეთანხმებული ბრძოლისათვის. **ეხლანდელი კონფერენცია შარშანდელთან შედარებით მოწმობს იმას, რომ გლეხობამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ აქტიური ბრძოლის გზაზე.**

კონფერენციამ სურვილი გამოთქვა გააერთიანოს გლეხობის ბრძოლა სამრეწველო პროლეტარიატის ბრძოლასთან.

ინგლისის მუშები ბალდვინის წინააღმდეგ

ტრედიუნიონელების დელეგაცია დარწმუნებულია ზინოვიევის „წერილის“ სიყალბეში

პარიზში გაემგზავრა ამხ. კრასინი.—საფრანგეთის საზოგადოება დიდი ინტერესით მოელის პარიზში ამხ. კრასინის ჩასვლას.—ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს „დაეკარგა“ ჩვენი ნოტა.—

ინგლისის კონსერვატორული მთავრობა პარტიულ კაპიტალს იძენს ზინოვიევის „წერილით“.

ინგლისის დელეგაციის დეპეშა

მოსკოვი. 27 ნოემბერი. ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციამ, რომელიც იმჟამად უკრაინაში იმყოფება, გაუგზავნა „დეილი ჰერალდის“ და „მანჩესტერ გარდიენის“ რედაქციებს და ტრედ-იუნიონების ჯენერალურ საბჭოს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ინგლისის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის მთავრობის ნოტის თავხედური კილო ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ და საზოგადოებრივ აზრზე. ნოტას აქ უცქერიან, როგორც ცდას ხელი შეუშალონ ზინოვიევის „წერილის“ სინამდვილის მიუდგომლათ გამორკვევას,—რასაც საბჭოთა კავშირი სრულიად სამართლიანათ მოითხოვს.

დელეგაცია გულდასმით იხილავდა საკითხს თვით ზინოვიევთან ერთათ, რომელიც კატეგორიულათ ამტკიცებს, რომ წერილი ყალბია და დელეგაციას უჩვენა კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა მასალები. **დელეგაცია ჩამოსვლისას გაგაცნობთ თავის დეტალურ კვლევა-ძიების შედეგებს. დელეგაცია სავსებით დარწმუნებულია, რომ დოკუმენტი ყალბია და რომ ამის საწინააღმდეგოთ არავითარ დამამტკიცებელ საბუთების მოყვანა არ შეიძლება, რითაც უნდა აიხსნას ინგლისის მთავრობის მიერ უარის თქმა საკითხის სამედიატორო წესით განხილვაზე.**

რუსეთის მთავრობის გამოჩენილ წევრებთან საუბრიდან დელეგაცია დარწმუნდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონსერვატიული მთავრობა უარს იტყვის საქმის მიუდგომელ გამოძიებაზე, იგი დაგმობილი იქნება მთელი რუსეთის მიერ, როგორც მთავრობა, რომელიც ყალბი დოკუმენტებით სარგებლობს პარტიული მიზნებისათვის.

ამ საუბარმა დაარწმუნა აგრეთვე ინგლისის დელეგაცია, რომ რუსეთის მთავრობა სერიოზულათ ილტვის ინგლისთან კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარებისაკენ და ამიტომ ასეთ აგრესიულ მოქმედებას კომუნისტურ ინტერნაციონალის მხრივ ადგილი არ ექნებოდა დღევანდელ პირობებში.

ბრომლეი, ფინლეი, ტილლეტი, ტერნერი, სმიდტი, პერსელი, ბრამლი“.

ინგლისის დელეგაციის განცხადება

ხარკოვი. 26 ნოემ. სრულიად უკრაინის მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობაზე ამხ. უგაროვმა აცნობა ყრილობის დელეგატებს, რომ მიღებულია ინგლისის ახალი ნოტები: იგლისის ახალი მთავრობა არ ამტკიცებს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას, ზინოვიევის „წერილს“ კი ნამდვილად აღიარებს. უგაროვმა განაცხადა, რომ ეს ამბავი მან გაიგო სადგურზე ინგლისის დელეგაციის გამგზავრების რამდენიმე წუთით ადრე. ის შეეკითხა ინგლისელ ამხანაგებს, თუ როგორ უცქერიან ისინი ინგლისის მთავრობის ნოტებს.

ფრედ ბრამლიმ განაცხადა, რომ მას სრულიადაც არ უკვირს ეს ამბავი: შეიძლებოდა წინდაწინ გვცოდნოდა, რომ არც ერთი მთავრობა, გარდა მუშათა მთავრობისა, არ დაამტკიცებდა ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო მუშათა მთავრობის მიერ მუშათა პარტიის ზეგავლენით. **ყველა ინგლისელი ამხანაგები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ზინოვიევის „წერილი“ სიყალბეა და რომ ეს სიყალბე შეითხზნეს თვით კონსერვატორებმა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ მუშათა პარტიისათვის არჩევნებში.**

ბრამლიმ განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გაუგზავნის დეპეშას ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს, რათა მან მოითხოვოს წერილის სინამდვილის გამორკვევა. ინგლისის ყველა მუშათა ორგანიზაციები ფეხზე დადგებიან, რათა განუმარტონ მუშათა ფართო მასებს ზინოვიევის „წერილის“ სიყალბის მნიშვნელობა. ბრომლი დარწმუნებულია, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავება ხანგრძლივი არ იქნება.

ბენ ტილლეტმა განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ დადებული იქნება ახალი ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე გაუქმებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების დადებამდე დიდი დრო არ გაივლის.

მიწა-ტყის კავშირის მუშაკთა ყრილობამ დაავალა პრეზიდიუმს გაუგზავნოს ინგლისის მუშებს წერილი და აცნობოს მათ, რომ ისინი მედგრად შეებრძოლებიან ინგლისის ბურჟუაზიის გამოლაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. კრასინის გამგზავრება

მოსკოვი. 27 ნოემბ. 26 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. კრასინი გაემგზავრა პარიზში სრულუფლებიან წარმომადგენლობის რამდენიმე თანამშრომელის თანხლებით.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

პარიზი. 26 ნოემბ. საფრანგეთის მთავრობამ პალატაში შეიტანა მოსკოვში მყოფ საელჩოს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

პარიზი. 26 ნოემბ. კრასინის მოსვლას მოუთმენლათ მოელიან. დიდი გაზეთების კორესპონდენტები სულ საბჭოთა კავშირის დროებით საელჩოში ფუსფუსებენ, რომ ყური მოჰკრან რაიმე ახალ ამბავს. ზოგიერთი გაზეთები ემზადებიან, რომ თავიანთი საგანგებო კორესპონდენტები საფრანგეთის საზღვრებზევე შეახვედრონ კრასინს და მოახერხონ მასთან საუბარი. საბჭოთა კავშირის ამბებზე გაცხოველებითა მსჯელობენ ყველა გაზეთები. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს პრესაში ატეხილ მსჯელობას—ტროცკის უკანასკნელ წიგნის შესახებ. ამასთანავე ამ მსჯელობიდან გამოაქვთ ათასგვარი ფანტასტიური დასკვნები.

როგორ „დაიკარგა“ ჩვენი ნოტა

მოსკოვი. 27 ნოემ. გრეგორის მიერ რაკოვსკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულ ნოტის დაკარგვის გამო, როსტას თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

აღნიშნულ ნოტის მიღების შემდეგ, **გრეგორი 27 ნოემბერს გამოცხადდა რაკოვსკის ბინაზე. მან მაგიდაზე დასდო ჩვენი ნოტა და მაკდონალდის სახელით განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა უკან აბრუნებს** მას, ვინაიდან იგი შეიცავს შეურაცხმყოფელ მოთხოვნილებებს. რაკოვსკიმ უარი განაცხადა ნოტის უკან მიღებაზე და უთხრა, რომ ის ხელმეორედ გაგზავნის ამ ნოტას დანიშნულებისამებრ. მეორე დღეს რაკოვსკიმ ნოტასთან ერთად გაუგზავნა მაკდონალდს წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ ასეთი პროცედურა დაუშვებელია ინგლისის მთავრობის მხრივ, რომელმაც თავისი ნოტა უკან არ წაიღო.

30 ოქტომბერს ნოტა ხელახლა მიუტანა რაკოვსკის იმავე გრეგორიმ, რომელმაც ამასთანავე განაცხადა, რომ ჩვენი ნოტა წარმოადგენს ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევას, რამოდენადაც მასში წამოყენებულია მოთხოვნილება დოკუმენტის წარმოშობის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

მაგრამ **რაკოვსკიმ ხელახლა დაუბრუნა ნოტა და თან დართულ წერილში აცნობა, რომ თუ ნოტა კიდევ იქნა დაბრუნებული, საბჭოთა მთავრობა მაინც ჩაბარებულად ჩასთვლის მას.**

შემდეგ რაკოვსკი ამის გამო ესაუბრა მაკდონალდს, რომელიც აგრეთვე დაემუქრა ნოტის დაბრუნებით და დაემყარა იმაზე, რომ ნოტაში ფალსიფიკატორებათ გამოყვანილი არიან გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეები. რაკოვსკიმ მისცა სათანადო პასუხი და ისევ განიმეორა, რომ ნოტას ჩვენ ჩავსთვლით მიღებულად ინგლისის მთავრობის მიერ. ნოტა აღარ ყოფილა დაბრუნებული, მაგრამ ბოლოს იგი „დაიკარგა“.

რეაქციონერებს ეშინიათ

პარიზი, 26 ნოემბ. საფრანგეთის რეაქციონული წრეები განაგრძობენ მღელვარებას იმის გამო, რომ ჟორესის ცხედარის პანთეონში გადატანის დღეს კომუნისტური მანიფესტაცია წარმატებით ჩატარდა. „ლიბერტე“ აღშფოთებულია იმის გამო, რომ „უჯკუო ბოლშევიკურ რაზმების ბანდიტები“ იყვნენ პარიზის ქუჩების მესვეურები. „ეკო დე პარი“ კითხვას სვამს, ნუ თუ არ მოიძებნება ისეთი პატრიოტი დეპუტატი, რომელიც შეკითხვას მისცემდა ერრიოს გაუგონარი დებოშის გამო? პატრიოტების ლიგის სხდომაზე მემარჯვენე პარიზელმა დეპუტატმა ტეტტენჟემ ხაზი გაუსვა კომუნისტურ საფრთხეს და განაცხადა, რომ მთავრობამ მარცხი განიცადაო. ის მოუწოდა საფრანგეთის ახალგაზრდობას ბოლშევიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

პროტესტი სიკვდილის წინააღმდეგ.

პარიზი, 26 ნოემბ. რუბეში 3,000 მუშის მონაწილეობით გამართა საპროტესტო დემონსტრაცია სიკვდილის წინააღმდეგ. ქალაქის თავმა სოციალისტების დახმარებით არ მიიღო დელეგაცია, რომელიც შემდეგ მიიღეს კომუნისტ ხმოსნებმა და აღუთქვეს მას მხარის დაჭერა მუშების მოთხოვნილებისათვის.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ბერლინი, 26 ნოემბ. გერმანიის კომპარტიამ მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 3.000 კაცი. ორატორები მოითხოვდენ პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტის შექმნას, ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ და ოპოზიციის შექმნას სოციალ-დემოკრატიულ პროფკავშირებში.

დემონსტრაციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ილაშქრებს სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ და მოითხოვს პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტის შექმნას და ბრძოლის გამწვავებას რეფორმიზმის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიულ პროფკავშირებში.

ერთხმად მიღებული იქნა პროტესტი ესტონელ კომუნისტის ტომპას მოკვლის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობები

ჩეხო-სლოვაკია ჩქარა გვიცნობს.

პრაგა, 27 ნოემბ. ნაციონალისტთა საპარლამენტო კლუბში **ჩეხო-სლოვაკიის პრემიერმა ბენეშმა გააკეთა მოხსენება ჩეხო სლოვაკიისა და მცირე ანტანტის პოზიციის შესახებ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში. მცირე ანტანტის სახელმწიფოებიო,—სთქვა ბენეშმა,—თითქმის ერთად ერთნი არიან, რომლებსაც არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი. ამიტომ ჩეხოსლოვაკიამ სერიოზულათ უნდა დასვას ეს საკითხი. ამ დღეებში კოალიცია განიხილავს ამ საკითხს. საბჭოთა კავშირის ცნობა უნდა მოხდეს მომავალი წლის დასაწყისში.**

ესტონელ კომუნისტების პროცესი.

რეველი, 27 ნოემბ. პროცესზე მოსმენილ იქნა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა. ყველა ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი რჩებიან კომუნიზმის ერთგულნი და ამიტომ არ სურთ ისარგებლონ უკანასკნელი სიტყვით კლასობრივი სასამართლოს წინაშე, რადგან განაჩენი წინასწარ არის გამზადებული. დღეს,—განაცხადეს ბრალდებულებმა,—თქვენ ხართ ბატონები, თქვენ გამოგაქვთ განაჩენი, რომელიც ნაკარნახევია ზევიდან, ხვალ კი მოვა მშრომელი ხალხი და გაგასამართლებთ თქვენ.

განაჩენი 149 კომუნისტის საქმის შესახებ.

რეველი, 27 ნოემბ. გამოცხადებულია განაჩენი 149 კომუნისტის საქმის შესახებ: 39 ბრალდებულს მიუსაჯეს უვადო კატორღა, 28-ს კატორღა 15 წლით, ექვსს—12 წლით, ცხრამეტს—ათი წლით, ხუთს—8 წლით, თუთხმეტს—6 წლით, თექვსმეტს მიუსაჯეს დაპატიმრება 4 წლის ვადით, შვიდი გაამართლეს. განაჩენის სრული ტექსტი გამოცხადებული იქნება 2 დეკემბერს.

მინისტრიც ასეთი უნდა!

რევალი, 27 ნოემბ. ესტონეთის სამხედრო მინისტრი კურვიცი, რომელმაც დაამტკიცა კომუნისტ იან ტომპისათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენი სამსახურიდან დაითხოვეს. რადგან ის მთვრალი იპოვეს ქუჩაში მწოლი.

საარჩევნო კამპანია ბერლინში.

ბერლინი; 27 ნოემბ. ბერლინში უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. გაიმართა ფაშისტური კავშირის „რესპუბლიკანური დროშის“ წევრთა მანიფესტაცია. საზოგადოება, რომელიც შე დგებოდა უმთავრესად ბურჟუაზიული წრეებიდან. ერთნაირის აღფრთოვანებით ხვდებოდა დემოკრატებსაც, სოციალ-დემოკრატებსაც და ცენტრის ორატორებსაც.

სხვათაშორის სიტყვით გამოვიდა სოციალ-დემოკრატი შვერენერი. მან განაცხადა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოქალაქეთა პირველ მოვალეობას შეადგენსო.

მან გაილაშქრა მონარქისტების, ფაშისტების, ჰოგენცოლერნების და კომუნისტების წინააღმდეგ.

კელნში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიტინგზე კომუნისტ ზელმანის სიტყვის დროს შეტაკება მოხდა. მას, თავმჯდომარის დაუდევრობით სიტყვა შეაწყვეტინეს ფაშისტური ორგანიზაციის „რესპუბლიკანური დროშის“ წევრებმა. კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის მოხდა შეტაკება. მიტინგი დაიხურა.

გალეში მიტინგზე სიტყვით გამოვიდა „ფოსსიშე ცაიტუნგის“ მთავარი რედაქტორი ბერნჰარდტი. კრებას დაესწრნენ ფაშისტები და ტევტონელები. ბერნხარდტმა სილა გააწნა ერთ ტევტონელს, რომელმაც მას ცრუ უწოდა.

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და წითელ არმიას!“

ვენა, 27 ნოემბ. დალმაციის ზოგიერთ ადგილებში სამხრეთ-სლავიის მუშათა პარტიის მომხრეებმა იმის შემდეგ, რაც მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი სათადარიგო ჯარისკაცების ჯარში გაწვევის შესახებ, მოაწყვეს დემონსტრაციები ლოზუნგით: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს წითელ არმიას!

მთავრობამ მასების ზღვავლენით შეაჩერა სათადარიგო ჯარისკაცების მობილიზაცია.

სოციალ-გამყიდველები

ვენა, 26 ნოემბ. ჰუნგრეთის პროფკავშირებსა და სოციალისტურ პარტიაში ოპოზიციის გაძლიერებამ აიძულა სოციალ-დემოკრატიის გამგეობას დაეწყო გააფთრებული კამპანია ოპოზიციის წინააღმდეგ. პარტიის გამგეობის პლენუმმა 100 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ხუთისა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოპოზიციის მოქმედება არღვევს პარტიის მთლიანობას. რეზოლიუცია მოითხოვს „გამთიშველ ელემენტების გამორიცხვას“. **ყველაზე უფრო ამ ზომას მიმართავენ ხის დამმუშავებელთა და მეტყევეთა კავშირებში, სადაც ოპოზიციამ მიიღო ძალიან მწვავე ხასიათი. პლენუმის მიერ ზემოთ დადგენილების მიღების შემდეგ ოპოზიციამ გამართა კრება, რომელსაც დაესწრო 3,000-ზე მეტი მუშა. კრება გარეკა პოლიციამ.**

ბურჟუაზიული პრესა ესალმება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დადგენილებას პროფკავშირებიდან ოპოზიციონურ ელემენტების გამორიცხვის შესახებ და დახმარებას აღუთქვამს სოც.-დემ. პარტიის მემარჯვენე ფრთას.

ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

25 ნოემბერს დაიწყო მუშაობა საქართველოს საკონტროლო კომისიის პლენუმმა. პლენუმზე ჩამოსულნი არიან ყველა რწმუნებულები, როგორც მაზრებიდან, ისე რესპუბლიკებიდან: აჭარისტანიდან და აფხაზეთიდან.

პირველი საკითხი, რომლის შესახებ ამხ. ფილიპე მახარაძემ გააკეთა ვრცელი და მეტად საინტერესო მოხსენება, იყო საქართველოში მომხდარ უკანასკნელი ამბებისა და ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის შეერთებული სხდომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგების შესახებ. [illegible] პლენუმმა მთლიანად [illegible] თეზისები, რომელიც ქვემოთ იბეჭდება.

მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და პლენუმის თითქმის ყველა წევრმა მიიღეს კამათში მხურვალე მონაწილეობა.

პლენუმის მუშაობის შედეგებს ჩვენ ამ დღეებში დავუბრუნდებით.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების თეზისები

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება საქართველოში მომხდარ ამბების და ც. კ. და ც. ს. კ. შეერთებული სხდომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგების შესახებ, სავსებით იწონებს ცეკას მიერ მიღებულ ზომებს სოფლად მუშაობისათვის და უერთდება რა ცეკას დადგენილებებს ამის შესახებ, თავის მხრით საჭიროდ სცნობს დამატებით მიღებულ იქნას შემდეგი:

1. უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომა, როგორც პარტიული ისე საბჭოთა ორგანოების მიერ, რათა ცენტრ. კომიტეტის პლენუმის (ოქტომბრის) დადგენილება რაც შეიძლება ჩქარ იქნას ცხოვრებაში გატარებული ამასთანავე საკონტროლო კომისიის პლენუმი განმეორებით აცხადებს, რომ უმაღლეს პარტიული ორგანოების დადგენილებები, რეზოლიუციები, ცირკულიარები თავის დროზე უნდა ტარდებოდენ ცხოვრებაში, რომ ის პარტიული მუშაკები და პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც არა თუ თავის დროზე არ მიიღებენ სათანადო ზომებს ამ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად, არამედ რომლებიც გამოიჩენენ ამ საქმეში მცირეოდენ დაუდევრობას ან უყურადღებობას, მიცემული უნდა იქნას პარტიულ სამართალში და სასტიკად დასჯილნი.

2. საკონტროლო კომისიის პლენუმი გარდა ამისა, საჭიროდ სცნობს განმეორებით ყველას გასაგონად განაცხადოს, რომ სასტიკად იქნებიან დასჯილნი ის პასუხისმგებელნი ამხანაგები, რომლებიც თავისი მოქმედებით თუ საქციელით სახელს უტეხენ ხალხის თვალში როგორც საბჭოთა ხელისუფლებას, ისე კომუნისტურ პარტიას.

3. სოფლად როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახონ უპარტიო გლეხობის მიმხრობა, მისი დაახლოვება და დაკავშირება საბჭოთა ხელისუფლებასთან, ასეთი გლეხობის ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში და საერთოდ იმაზე დაყრდნობა თავის მუშაობაში. ამიტომ გლეხკაცობასთან დამოკიდებულებაში როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრით არავითარ უწესობას და მით უმეტეს მოძალეობას ადგილი არ უნდა ექნეს. ამასთანავე სასტიკი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული ყოველივე ბიუროკრატიული მიუკარებლობის, მედიდურობის, გლეხის პიროვნების აბუჩად აგდების წინააღმდეგ. დეე, იცოდეს ყველამ, რომ პარტია სასტიკად შეებრძოლება იმათ, ვინც ყველა ამ ჩვეულებებს ვერ მოიშლის. ასეთი ხალხი პარტიაში ვერ დარჩება, გარდა იმისა, რომ იმათ კიდევ სხვა სასჯელიც მოელისთ.

4. საჭიროა, რომ გლეხკაცობის, განსაკუთრებით მისი ღარიბი ნაწილის ჭირ-ვარამს, გაჭირვებას, მის არსებით მოთხოვნილებებს ანგარიში გაეწიოს და მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

5 სოფელში პასუხისმგებელ მუშ შაკებად უნდა იგზავნებოდენ უმე ტეს შემთხვევაში, თუ სულ მთლა არა, ქალაქის შეგნებული და მოწი ნავე მუშები, და მასთან უწინარე ყოვლის ისინი, ვინც ამას ნება-ყოფ ლობით მოინდომებს. ამავე დრო სოფლიდან გლეხების ზოგიერთი საუ ელემენტები უნდა იგზავნებოდენ ქა ლაქებში დაზგასთან სამუშაოდ, რო შემდეგ იმათგან ნამდვილი სოცია ლისტური მოღვაწენი გამოვიდენ.

6. ქალაქის მუშების შეფობის სა კითხ უნდა გადაისინჯოს იმ აზრით რომ გამოინახოს საშუალება შეფო ბის გასაერთიანებლად, რომ ამ სა მეში ჩაბმულ იქნას თბილისის პრო ლეტარიატის გარდა ბათომის, ფო თის, ჭიათურის, სოხუმის, ქუთაისი ტყიბულის, ხაშურის და სამტრედი მუშებიც.

იმავე დროს შეფობა ერთ და იმა ვე სოფელზე არ უნდა გრძელდებო დეს მუდმივად; რომ მით რაც შე ძლება სოფლების მეტ რიცხვს ხედ შეფობა ქალაქის მუშების მხრივ არ მხდეს ის, რასაც დღეს აქ ადგილი ცხოვრებაში, როცა ერ სოფელს ჰყავს შეფი რამდენიმე წლ განძავლობაში, და დანარჩენი სოფ ლები კი მოკლებული არიან ამ უპ რატესობას.

7. მეტად ხშირი მოვლენაა, რო ერთ და იმავე პასუხისმგებელ ამ ნაგს დაკისრებული აქვს რამდენი თანამდებობა და გარდა ამისა კი ირჩევა სხვადასხვა კომისიებში შაობა; ასეთი ამხანაგი ვერ ასრ დაკისრებულ მოვალეობათა ლებას და ხშირად საქმეს ვერ თებს. ამას მოაქვს საქმისთვის დი ზიანი. ამიტომ აქ რომ ნას ცნობილი ასეთი ამხანაგ ბის განტვირთვა ზოგიერთ მო ლეობათაგან, და ამ მოვალეობა უფრო მიზანშეწონილი განაწილ პასუხისმგებელ ამხანაგებს შორის.

8. სოფლის მუშაობის სწორ ნი დაგზე დასაყენებლად საჭიროდ იქ ცნობილი ჯერ სოფლის კომ-უჯრ დების ადგილობრივი შესწავლა შემდეგ ამ კომ-უჯრედების თათბ რის მოწვევა, როგორც ეს მოხ რუსეთში, აზერბეიჯანში, უკრაინა და ბელორუსიაში.

9. ჩვენი უკანასკნელი პარტიულ ყრილობის დადგენილება არაა სრ რულებში მოყვანილი. საგლეხო გაზ ში ნაკლები უნდა იყოს მშრალი დაგება და ფრაზები, უფრო გლეხკაცობის ცხოვრება, სოფლის რობები, საბჭოთა ორგანოების მ შაობა, ე. ი. სინამდვილე და პრ ტიკა. საგლეხო გაზეთი მართლა გლ ხის გაზეთი უნდა შეიქნეს. წ ბი მეურნეობაზე, აგრონომიულ ნაზე, აუცილებლად საჭიროა, მაგ გადამლოცმება ამ დარგში არ ვ ამავე დროს საჭიროა, გაზეთები სა თოდ და განსაკუთრებით საგლ თავის დროზე მიდიოდეს გლეხამ

10. უახლოეს დროში უნდა მოხ ყველა მაზრების დაწვრილებით წავლა-გაცნობა, ადგილობრივი შაობის და გლეხკაცობის სულის თების უშუალო გაცნობა, რისთვ უნდა იქნას გაგზავნილი კომისია დგარი არა ნაკლებ 2—3 პასუხის ბელ ამხანაგებისაგან.

მენშევიკები და საქართველოს „დამოუკიდებლობა“*)

მენშევიკებს უნდოდათ საქართველოს გადაქცევა პლაცდარმათ მთელი მსოფლიო კონტრ-რევოლიუციონური ძალების თავმოსაყრელათ და მათი რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ ასამხედრებლად ისევე, როგორც ეს ხდება ეხლა პოლონეთში და საბჭოთა კავშირის სხვა მეზობელ სახელმწიფოებში; რუსეთის და საქართველოს მშრომელები უდიდეს ბოროტმოქმედებას ჩაიდენდენ რევოლიუციისა და ისტორიის წინაშე, თუ ისინი ამის უფლებას მისცემდენ მენშევიკებს, და სწორეთ ამისათვის არიან გარეკილი მენშევიკები თავის მაღალ მფარველებთან.

სანამ დემოკრატიული დასის კომედიანტები გატაცებით ასრულებდენ თავის ბინძურ რეპერტუარს ევროპაში და სცდილობდენ მოემზადებიათ ბურჟუაზიის „საზოგადოებრივი აზრი“—საქართველოს ფაქტიურ ცნობისათვის (აქვე უნდა ითქვას, რომ ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა იმაზე უფრო უაზრო და სულელური ტერმინი, ვიდრე ცნობა დე-ფაქტო: როგორ შეიძლება არ იცნო უკვე არსებული ფაქტი? მხოლოდ ბურჟუაზიულ ჩხირკედლობას შეეძლო გამოეგონა ასეთი სისულელე), ამიერ-კავკასიაში „დემოკრატიის“ მთავარი რეჟისორების ერთის მხრივ ჟორდანია რამიშვილის და მეორეს მხრივ ხატისოვის ხელმძღვანელობით მიდიოდა სისხლიანი წარმოდგენა. ორი ერი—ქართველები და სომხები, რომლებიც დასაბამიდანვე მშვიდობიანათ სცხოვრებდენ ერთმანეთთან, სისხლის მორევში იყვნენ ჩათრეული. მეტათ ბევრი დაიწერა თავის დროზე ამ საშინელი ავანტიურის შესახებ, მაგრამ ეხლა პირდაპირ გიკვირს, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი სამარცხვინო რამ ამიერ-კავკასიაში და ისიც იმ დროს, როდესაც ორივე ქვეყნებში გაბატონებული იყვენ „სოციალისტები“ (დაშნაკლებიც ხომ „სოციალისტებათ“ არიან ცნობილი მეორე ინტერნაციონალის მიერ) დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტებიც კი, რომელთა ხელობასაც შეადგენს ყაჩაღობა და ომები, ისინიც კი მხრების აჩეჩვით ამბობდენ: გვთხოვენ ვიცნოთ და თვითონ კი ძაღლებივით სჭამენ ერთმანეთსო.

„სომეხ-ქართველთა დიად დავაში“ ჩაერია თვითონ მეორე ინტერნაციონალი: მენშევიკებიც და დაშნაკელებიც სცდილობდენ დაემტკიცებიათ ამ პატივცემულ დაწესებულებისათვის თავისი სიმართლე და ორივე ისინი ემყარებოდენ მარქსს (უფრო გვიან, 1920 წლის დასასრულს, სან-რემოს კონფერენციის წინ სომხების და ქართველების „მორიგება“ იკისრა ინგლისის წარმომადგენელმა ბ. რობერტ ვანსიტტარტმა, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, გარდა იმისა, რომ ამ რესპუბლიკების დელეგაციებმა მუშტებით მიიწიეს ერთმანეთზე).

ამ სამარცხვინო და უაზრო ავანტიურის გამო, „დემოკრატიული მთავრობის“ აქციების ფასი მეტათ დაეცა ევროპის ბაზარზე (ანდა, რაც იგივეა „სამშვიდობო კონფერენციაზე“): მთავრობის ავტორიტეტის დასაცავათ ანდა, როგორც მენშევიკები ამბობდენ, „დასავლეთ-ევროპის დემოკრატიისათვის“... ბორჩალოს საკითხის გასაცნობათ,—პარიზში გაემგზავრენ მენშევიკური პარტიის ცნობილი წარმომადგენლები—ჩხეიძე და წერეთელი; მათი სახელები ჯერ კიდევ მრავალს ახსოვდა (მე ვლაპარაკობ აქ ფრანგებზე, არა სოციალისტებზე); ჯერ კიდევ დავიწყებული არ იყო ის პოზიცია, რომელიც მათ დაიჭირეს პეტროგრადში რუსეთის რევოლიუციის პირველ პერიოდში.

ახსოვდათ უმთავრესად, რომ ისინი ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი იყვნენ. აქედან წარმოსდგებოდა მათი პოლიტიკური კეთილსაიმედობა საფრანგეთის ხელისუფლების თვალში... ფრანგებს ამხნევებდა მათი სახელი, როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლების სახელი; დამაშოშმინებლათ მოქმედობდა ზომიერ სოციალისტების, მინიმალისტების რეპუტაცია, რომელიც მათ ჰქონდათ მიღებული (გვ. 183, კურსივი გარდა სიტყვა „მინიმალისტების“, ყველგან ჩემია. ლ. ლ.). აი საიდან წარმოსდგება მათი სახელი. მათი „ზომიერებისათვის (გაიგე, როგორც ღალატი მუშათა კლასის წმინდა საქმისათვის), ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ თავგანწირულ ბრძოლისათვის, ისინი შეიყვარეს საფრანგეთის ბურჟუებმა; მხოლოდ ამიტომ იყო, რომ მათ მისცეს პოლიტიკური კეთილსაიმედობის მოწმობა. განა შეიძლება იმაზე უფრო დიდი სირცხვილი ნამდვილი სოციალისტისათვის იმაზე უფრო სამარცხვინო ლაქა, ვიდრე ბურჟუაზიის მიერ ნდობის გამოცხადება მუშათა ბელადებისათვის?

საფრანგეთის ბურჟუები არ სცდებოდენ: მათ შეეძლოთ სრული ნდობით მოპყრობოდენ ქართველ მენშევიკებს, ამაზე უფრო ერთგულ მოსამსახურეებს ისინი ვერ იშოვიდენ,—მაგრამ იცოდენ თუ არა ამის შესახებ საქართველოს მშრომელებმა, იცოდენ თუ არა ათასმა მუშა-მენშევიკებმა. სამწუხაროთ, მათ გულწრფელათ სწამდათ თავისი ბელადების და ბრმათ მიჰყვებოდენ მათ. ეჭვს გარეშეა ის, რომ მუშებს რომ სცოდნოდათ, თუ როგორი რეპუტაციით სარგებლობდენ მათი ბელადები, მაშინ მენშევიკური პარტიის დაშლა რამოდენიმე წლით ადრე დაიწყებოდა, ვიდრე ეს ნამდვილათ მოხდა.

„მეორეს მხრივ, მათი სახელი, რომელიც დაკავშირებული იყო რუსული პარტიების პოლიტიკურ განხეთქილებასთან, ერთგვარ ეჭვს ბადებდა, რადგან მათ იცნობდენ, როგორც რუსეთის მოღვაწეებს, რომლებიც გამოდიოდენ რუსეთის რევოლიუციის უზარმაზარ და ყველასათვის დასანახავ ესტრადაზე (რამდენი რეპუტაციები გაჩნდა და დაილუპა აქ); **ადვილათ ვერ ახსნეს მათი გამოჩენა, როგორც საქართველოს მოღვაწეების** (გვ. 183, კურსივი ჩემია. ლ. ლ.) იმ უცხოელებს—ინგლისელებს და ფრანგებს,—რომლებიც შეეცდებოდენ **სერიოზულათ დაფიქრებულიყვენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, შეეძლოთ ეჭვი შეეტანათ ამ ლოზუნგის სერიოზულობაში**—როდესაც ისინი ხედავდენ ასეთ **უეცარ გარდქმნას** (იქვე, კურსივი ჩემია. ლ. ლ.) „გარდაქმნა“ მართლაც „უეცარი“ და მოულოდნელი იყო და ამისი ნაკლებ სჯეროდათ არა მარტო განათლებულ ბურჟუებს, არამედ საქართველოს მშრომელებსაც. მენშევიკური პარტია ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის; მათ რეაქციონურათ გამოაცხადეს, და ეს მართალი იყო, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სეპარატისტული ტენდენციები (მოვიგონოთ, თუ გინდ ბ. ნ ჟორდანიას პოლემიკა არჩილ ჯორჯაძესთან,—როგორ დაუზოგველათ ამჟღავნებდა მაშინ ის სეპარატისტების მთელ წვრილ-ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციონურ ბუნებას). სწორეთ ასევე, საქართველოს მშრომელებსა და რუსეთის პროლეტარიატის შორის მჭიდრო ორგანიზაციული და პოლიტიკური კავშირის დამყარების აუცილებლობის ნიადაგზე ზრდიდენ მენშევიკები თავის პარტიის წევრებსაც და „უეცრათ“, 1918 წლის მაისში, მენშევიკების პარტიამ, იმავე ნ. ჟორდანიას პირით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა... რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან.

გვაგონდება ეხლა მუშების სულიერი განწყობილება, არა მარტო უპარტიო მუშების, არამედ მენშევიკ-მუშების განწყობილებაც, საქართველოს გამოყოფის გამო რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატისაგან. როდესაც ჩვენმა პარტიამ ეს გამოყოფა დაახასიათა, განსაკუთრებით ბრძოლის მომენტში, როგორც ღალატი მუშათა კლასის და მისი საარსებო ინტერესებისათვის, ეს მუშები მაშინ გვიპასუხებდენ ჩვენ (თავიათ თავიდან ბოლომდი, ყალბი ბელადების სიტყვებით, რომლებიც მათ, სამწუხაროთ, მართლა სწამდათ); ჩვენ რუსეთს გამოვეყავით დროებით, რომ თავიდან ავვეშორებია ოსმალების ულელი, ჩვენ გამოვეყავით იმისათვის, რომ „შეგვენარჩუნებია ერის ფიზიკური არსებობა“, ჩვენმა „დიდმა“ ნოემ, რომელიც ჭკვიანი და ეშმაკია, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით მოატყუა ოსმალებიც და გერმანელებიც, ეს დამოუკიდებლობა დროებითია, შემდეგ როდესაც რუსეთში დამყარდება მტკიცე წესწყობილება, ჩვენ ისევ დავბრუნდებით რუსეთის პროლეტარიატთან და გავილაშქრებთ რეაქციის წინააღმდეგ (თითქოს დენიკინი, კოლჩაკი და შავი ყვავების მთელი დანარჩენი ხროვა მაშინ არ იყვენ შავი რეაქციის ხელმძღვანელები), მაგრამ ჟორდანიამ „მოატყუა“ ისინი; მან მეგობრული მოლაპარაკება გამართა ამ შავ ყორნებთან. ეჭვს გარეშეა ის, რომ საქართველოს მშრომელთა ფართო მასები და უბრალო მენშევიკები, განსაკუთრებით მუშები, ვერ გრძნობდენ მაშინ თავისი ბელადების დაცემის მთელ სიღრმეს, მათ გულწრფელათ სწამდათ, რომ მათი ბელადების მიერ ნაჩვენები გზა არის მოკლე და სწორი გზა სოციალიზმისაკენ; ისინი ვერ ხედავდენ, ვერ ამჩნევდენ იმას, რომ, მიყვებოდენ რა თავის ბელადებს, ისინი ამით, თავის სურვილის წინააღმდეგ, სდგებოდენ ბარიკადების იქითა მხარეს—ბურჟუაზიისთან ერთად, მუშათა კლასის წინააღმდეგ; ისინი ვერ ხედავდენ უზარმაზარ მყრალ ტბას, რომელშიაც ვარდებოდენ თავისი ბელადების წყალობით და საჭირო შეიქნა რამოდენიმე წელი, რომ ეს ჭეშმარიტება ჭეშმარიტებათ გამხდარიყო მათთვისაც.

მეტათ საინტერესოა მოქ. ავალიშვილის წიგნის ის ადგილი, სადაც ის ახასიათებს ქართველი სოციალ-დემოკრატების ორ გამოჩენილ ბელადს—ჩხეიძეს და წერეთელს, რამდენათაც ამ დახასიათებაში სჩანს მენშევიკური პარტიის მთელი წვრილ-ბურჟუაზიული შინაარსი:

„ჩხეიძე, რომელიც ეშმაკურათ გავიდა მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში, უეჭველათ შევა რუსეთის მარტის რევოლიუციის მოღვაწეთა „პორტრეტების გალერეიაში“. რომელიმე სპეციალისტი დაიწყებს მტკიცებას, რომ მთელი გაუგებრობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩხეიძეს რევოლიუცია თავიდანვე წარმოდგენილი ჰქონდა (შემცდარათ) დაახლოვებით ასე: პირველათ საფუძვლიანი შენჯღრევა, რომელსაც შესცვლის საერთო აღტაცება, საწარმოო ურთიერთ დამოკიდებულება ვითარდება თავბრუდამხვევი სისწრაფით და თვითნებურათ; ინტერნაციონალი ადვილათ ამსხვრევს ყოველგვარ დაბრკოლებებს, რის შემდეგაც კეთილშობილი პროლეტარებიც, დარცხვენილი ბურჟუებიც და შვიდ დესეტინიანი აზნაურებიც კი შემოუსხდებიან საერთო მაგიდას, რომელიც სავსე იქნება საჭმელ-სასმელით: დაასხამენ კეთილ კახურ ღვინოს და ჩხეიძე არჩეული იქნება „ტოლუმბაშათ“ და სხვა.

„ისტორიკოსი (კრიტიკული სკოლის) დაუმატებს, რომ ჩხეიძე, იყო რა წარმომადგენელი იმ ქვეყნის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მრეწველობა, შეიძლება ითქვას, „მევენახეთა სოციალიზმს“ განსახიერებდა, მას არ შეეძლო გამსჭვალულიყო ნამდვილი—პროლეტარული რევოლიუციონური სულისკვეთებით.

„წერეთლის ადგილი „რუსეთის რევოლიუციის პანთეონში“... რასაკვირველია, უზრუნველყოფილია. მაგრამ მის კარიერაში რაღაც განსაკუთრებული რამ იყო: უეცარი „გამოჩენა“ მეორე სახელმწიფო სათათბიროში,—ორატორული შეცდომა სტოლიპინთან; ათი წლით ციმბირში გადაკარგვა, ასეთივე უეცარი, მაგრამ ტრიუმფით დაბრუნება პეტროგრადში და ერთბაშათ რევოლიუციის სათავეში მოქცევა; **ერთდაიმავე დროს გატაცებული, მაგრამ უნაყოფო, მისწრაფება ომისაკენ, მშვიდობიანობისაკენ, სოციალური უთანხმოების გაღრმავებისაკენ,—და ყველაფერი ეს ბურჟუაზიასთან ტაქტიკურ კავშირში და რევოლიუციის მეჯნიერულათ ხელმძღვანელობის ნიშნის ქვეშ... და ბოლოს, უეცრათ, რამოდენიმე ხნის პაუზის შემდეგ: ამიერ-კავკასიის დემოკრატია ნებას არ მისცემს ოსმალეთის იმპერიალიზმს“ და კიდევ უფრო შემდეგ—„საქართველოს სტრატეგიული საზღვარი ბორჩალოს მაზრაშია“...**

ეს ფრიად სიმპატიური მოღვაწეები, როგორც სჩანს, ეკუთვნოდენ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა სკოლას, რომელიც ასე გავრცელებულია საქართველოში და მის გარეშეც; ასეთი ადამიანები მხედველობაში ჰყავს ქართველ მწერალს ს. სულხან-ორბელიანს „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ ერთ-ერთ არაკში. ძაღლი და მამალი დაძმობილდენ და სთქვეს: „ავაშენოთ სოფელიო ძაღლმა ჰკითხა, როგორ უნდა ავაშენოთ;—მამალმა უპასუხა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ—და აშენდებაო“. (გვ. 134—185,186; კურსივი ყოველგან ჩემია, გარდა სიტყვისა „სტრატეგიული“. ლ. ლ.)

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს სტრიქონები ეკუთვნის ბოლშევიკს, იმდენად სწორად და ღირსეულად არის აქ შეფასებული მენშევიკური პარტია; და მართლაც, განა მენშევიკები არ უხატავდენ მშრომელ მასას ეგრედ წოდებულ „სამშვიდობო კონფერენციას“, როგორც საერთო „დემოკრატიულ“ მაგიდას, რომელსაც შემოუსხდებოდენ ყველანი: „სოციალისტი“ წერეთელიც და ყველაზე უფრო რეაქციონური ბურჟუაზიის წარმომადგენლები პუანკარე, ლოიდ ჯორჯი და სხვები, და „სიამტკბილობით და სამართლიანად“ გადასწყვეტდენ ყველა საკითხებს? გაუგებარია მხოლოდ, რად დასჭირდათ მათ ამ შემთხვევაში ეგრეთ წოდებული მეორე ინტერნაციონალი? **მენშევიზმი, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით უარყოფს კლასთა ბრძოლას და მარქსის ამ ძირითადი ლოზუნგის ნაცვლად** არჩევს გააკეთოს „ყველაფერი ბურჟუაზიასთან ტაქტიკური შეთანხმებით“. ისინი ქადაგებენ მარქსის მოძღვრების საფუძველზე—შეთანხმებას კლასთა შორის და ამით ისინი ხდებიან ბურჟუაზიის საზიზღარ და საშიშ აგენტურად მუშათა კლასში. მართლაც მენშევიკებს შეემთხვათ უდიდესი და სამარცხვინო „გაუგებრობა“,—მუშათა კლასის ხელმძღვანელებიდან გადაიქცენ ბურჟუაზიის უბრალო აგენტებად და ამისთვის ისინი სასტიკად დასაჯა ისტორიამ—მუშათა კლასმა პირველად საბჭოთა კავშირში გამოაძევა, ხოლო ამჟამად მთელს ქვეყანაზე ერეკება ის მათ თავისი რიგებიდან, როგორც გამოუსადეგარ დამპალ ჩვარს, რომელიც შემოტანილი იყო ბურჟუაზიული მდიდარი ეზოს სანაგვე ადგილიდან.

მენშევიკური „ძაღლები“ ხმაჩახლეჩილი, გაბმული ღმუილით უყეფენ დღეს საბჭოთა კავშირს, მაგრამ მათი უნაყოფო ყეფა მობეზრდა თვით ბურჟუაზიასაც, ისინი მისთვის ზედმეტი ბარგი ხდებიან და კაპიტალისტები გამოიყენებენ შემდეგ ერეკებიან მათ გარეთ, როგორც დაჩანაკებულს, უპატრონო ძაღლს იმ მიზნით, რომ პირისპირ შეხვდენ თავის მოსისხლე დაუნდობელ მტერს—მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს, ეს კი მხოლოდ დააჩქარებს მშრომელთა მასების ბოლოო გამარჯვებას.

თანამედროვე კაცობრიობის გიგანტის—პროლეტარიატის და პიტალისტების სასტიკ ბრძოლ არსებობისათვის გამართულ სამკვდ სასიცოცხლო ბრძოლაში განწირუ ის, ვინც მხოლოდ ჩადგება მათ და ხან ერთსა და ხან მეორე რესთან მიკედლებით ცრემლის დაიწყებს ხვეწნას „არ იხსნ არამედ საქმე გადასწყვიტონ სია „კეთილშობილი კახურის“ შემწეობ ასეთია დაუნდობელი ისტო რიკის ლოღიკა.

მენშევიკებმა, რომელთაც არ აჩნიათ ჩვენი პოლიტიკური და განიზაციული მუშაობის გასაკრი კებლათ სერიოზული მოსაზრებ (რასაკვირველია, ჩვენ მხედველობ გვაქვს ჩვენი მუშებისათვის და ბესი გლეხობისათვის და არა შთავი ტური, სომეხთა მოძღლე ინტელი ციისა, აზნაურებისა და ჩარჩვაჭრები თვის გასაგები და მისაღები კრიტ თავისი უხეირო „კრიტიკის“ მ ლი გადაიტანეს ეროვნულ საკით ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებ ბის“ საკითხზე.

ამ მხრივ თავი ისახელა არა ტო პარიზელმა „საქართველოს მ რობამ“, (აი ჭეშმარიტათ დამო დებელი მთავრობა, არც ტერი რია, არც ხალხი მას არ გა აკეთე რაც გინდა, ვინ გი ხელს), არამედ მოქალაქე დევდარიანმაც, რომელმაც ქოს ერთხელ და საბოლოოდ ყვიტა კავშირი მენშევიზმთან აღიარა საბჭოთა სისტემა პროლე რიატის გაერთიანების ერთად-ე ორგანიზაციულ და პოლიტიკ ფორმად მსოფლიო კაპიტალის რეაქციისთან ბრძოლის საშუალ ლად მშრომელთა საბოლოო გამ ვებისათვის; **საქმით კი ის დაუსრულებელ მოხსენებებში პარებს ლეგალურ მენშევიზმს ქალიკ მით უფრო საშიშია, რო დევდარიანი ბ-ნ მენშევიკების „მ სისტემ“ ფრაზეოლოგია უმა „საბჭოთა“ ფრაზეოლოგიას, მეპს რა ხშირად და ამაოდ ნა სახელს, რითაც შეუ „წა-კალი აუწყოს მშრომე იმ ნაწილს, რომელსაც გულწ**

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 271

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობისათვის

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდა სოფლად მუშაობის საკითხზე. როგორც ვიცით, ამ საკითხზედ გაკეთებულ იყო სპეციალური მოხსენებები და გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილებები.

კერძოდ საქართველოში მომხდარი ამბების, მენშევიკური ავანტიურის შემდეგ ჩვენ უფრო ნათლათ დავინახეთ, რომ სოფლად მუშაობის სფეროში გვაქვს მეტად საგრძნობი ნაკლულოვანებანი, რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

კოოპერაციის გაძლიერება, საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, მუშაობის გაფართოება უპარტიო მასაში, პარტიული და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაღრმავება, —აი ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც თხოულობენ განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიის და ხელისუფლების მხრივ.

ყველა ამ გადაუდებელი ამოცანების შესახებ ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია: „საჭიროდ იქნას აღიარებული მთელი პარტიული და საბჭოთა მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა სოფლად. მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს სოფლის პარტ-უჯრედების ყოველმხრივ გამაგრება, რათა ისინი გადაიქცენ სოფლის საზოგადოებრივ იდეურ-პოლიტიკურ ცენტრებად“. ცეკა-პლენუმის დადგენილებების ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქტივობას და თვითმოქმედებას იჩენენ კომპარტიის და კომკავშირის უჯრედები სოფლად? ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი ორგანოები (მათ შორის მუშათა და გლეხთა ინსპექცია) განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში გამოტანილი დადგენილებები ან რა უშლის ხელს მათ ცხოვრებაში გატარებას. მეორე აუცილებელ პირობას ამისათვის შეადგენს თვითეული პარტიული და საბჭოთა მუშაკის მეტი პასუხისმგებლობა მასის წინაშე, რითაც შესაძლებელი უნდა გახდეს ფართო მასშტაბით უპარტიო გლეხობის ჩაბმა აღმშენებლობითი მუშაობაში. ამასთანავე ერთად, რადგანაც სოფლად მუშაობის საკითხი არის მეტად რთული საკითხი, ამიტომ მისი შესწავლის მიზნით აუცილებლად საჭიროა სოფლის მტკივნეულ საკითხების უფრო ფართეთ გაშუქება პრესაში. ერთი მხრით ეს სათანადო ორგანოებს მისცემს მასალას მომავალი მუშაობის სწორი გეგმის შესადგენად, მეორეს მხრივ კი პარტიული ორგანიზაცია და უპარტიო მასაც უფრო დაინტერესდება სოფლის საჭირბოროტო საკითხებით. ამ მხრივ სოფლის კორესპონდენტი უნდა იყოს მიუდგომელი და იძლეოდეს სწორ ანგარიშებს სოფლად მუშაობაში როგორც მიღწევების, ისე ნაკლულოვანების შესახებ.

მაგრამ არის სამწუხაროდ ისეთი მივარდნილი თემი და ხშირად რაიონიც, საიდანაც ჩვენს გაზეთებში ერთი წერილიც არ თავსდება. მაგალითად ზუგდიდის მაზრის ახალი ხიბულის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონები. ასეთი სურათია პროვინციის ბევრ ადგილებში.

აქედან დასკვნა: პარტიის და კომკავშირის უჯრედებმა, რომლებიც ითვლებიან სოფლად მუშაობის ქვაკუთხედათ, უნდა გამოჰყონ კორესპონდენტები.

ქ. წალენჯიხელი.

რკ.-გზის მთავარ სახელოსნ. მე-5 კომუჯრედში

ამა წლის 31 ოქტომბერს შესდგა მე-5 კომუჯრედის მორიგი კრება. კრებაზე უკლებლად გამოცხადდნენ პარტიის წევრები და კანდიდატები, აგრეთვე 21 სკოლის კურსანტები. მომხსენებლებად გამოვიდნენ ამხ.ამხ. ფედოკიმოვი, 11 სკოლის კურსანტი და ამავე უჯრედის მ/მ მდივანი კოკილაშვილი. მათ თავიანთ ვრცელ მოხსენებებში აღნიშნეს ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის დღესასწაულის მნიშვნელობა, კომპარტიის თავდადებული და თავგანწირული ბრძოლა კომუნიზმისთვის, და ბოლოს ხაზი გაუსვეს იმ მიღწევებს, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტებზე.

სხვადასხვა შეკითხვების შემდეგ, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს მომხსენებლებმა, უჯრედის კრების მიერ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, სადაც კრება აღუთქვამს ენერგიულ ბრძოლას ოქტომბრის მონაპოვრის შესანარჩუნებლად და დიად მიზნის, კომუნიზმის განსახორციელებლად.

შემდეგ გაირჩა კანდიდატების პარტიის წევრად გადარიცხვის და უპარტიოთა კანდიდატებათ მიღების საკითხები და კრებაც დაიხურა.

პარტკორი წამალაძე

რკინისგზის სტამბა-ლიტოგრაფიის კომუჯრედში

2[illegible] ნოემბერს რკინის გზის სტამბა-ლიტოგრაფიაში მუშაობის გათავების შემდეგ შესდგა მუშა-მოსამსახურეთა იაჩეიკის კრება, რომელსაც დაესწრნენ უპარტიონიც.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გ. მედიაშვილი. მომხსენებლად გამოვიდა ქარხკომის წევრი ვ. ინაური.

მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია 21 კაცისაგან შემდგარი კადრი სახალხო სასამართლოებზე დასასწრებლად.

ამასთანავე ერთად კრებამ აირჩია [illegible] ლეობის მისაღებად 3 ამხანაგი: ვ. კვიტინი, კ. ოდიშელიძე და გ. კოზლოვი.

გარდა ამისა, არჩეულ იქნენ მე-9 ლეგიონის წითელ-არმიელებთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად და დასაკავშირებლად 4 კაცი, რომელშიაც შედიან: ამხ. ვიქტორ ივანოვი, მიშა ხეთაგიშვილი და კომკავშირელებისაგან: აფიანცი და გოლაშვილი.

მუშა ზ. ხ—ლი.

პარტიული მუშაობა ფოთის ორგანიზაციაში

პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობას ფოთის ორგანიზაციაში გამოცოცხლება ეტყობა. ამ მხრივ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც არის გადადგმული. კერძოდ კი აუცილებელ საჭიროებათ იქნა ცნობილი დაკვრითი წესით პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენა.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ამ მხრივ კიდეც შეუდგა გეგმიან მუშაობას. ამ მიზნით დაარსებულია თერთმეტი პოლიტ-უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. გამონახულია საუკეთესო ხელმძღვანელები, რომლებიც აწარმოებენ სისტემატიურ მეცადინეობას.

მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით. პროგრამა დაყოფილია თუთხმეტ საუბრათ.

საგიტაციო განყოფილებასთან დაარსებულია აგრეთვე თვით განვითარების წრეც, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პოლიტ-უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს.

სკოლებში მეცადინეობას ამხანაგებმა ენერგიულათ მოჰკიდეს ხელი, რაც თავდებია იმის, რომ ჩვენ ახლო-მომავალში არა თუ შევსძლებთ პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციას, არამედ შევძლებთ იმასაც, რომ პარტიის წევრი აქტიური აგიტატორ-პროპაგანდისტი გავხადოთ, რაც ხელს შეუწყობს პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის თავის დანიშნულების სიმაღლეზე დაყენებას. ამასთანავე განზრახულია სკოლის მსმენელებისათვის სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა და დაკლებულ ფასებში დარიგება.

ა. აივაზოვი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ც. პ. სკოლაში

ცენტრალურ პარტიულ სკოლამ გადასწყვიტა აიღოს კულტურული ხასიათის შეფობა მშენებელთა კავშირის მუშებზე.

პარასკევს, 7 ნოემბერს მოწვეულ იყვნენ აღნიშნულ კავშირის მუშები ც. პ. სკოლაში, სადაც შესდგა საზეიმო კრება ოქტობრის რევოლიუციის მეშვიდე წლის თავის აღსანიშნავათ. სიტყვები წარმოსთქვეს მშენებელთა კავშირის მუშებმაც, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პარტსკოლის კურსანტებს კულტურული შეფობის ინიციატივის აღებისათვის და იმედი გამოსთქვეს, რომ ც. პ. სკოლა ნამდვილად შეიტანს განათლების სხივს მშენებელთა კავშირის ჩამორჩენილ მუშებში და სავსებით აღმოფხვრის მათ შორის გამეფებულ წ. კ. უცოდინარობას.

კრების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა რუსულ და ქართულ ენებზე და კომუნისტური ნათლობა. მუშების ოთხი ბავშვის მონათვლის შემდეგ, რომლებსაც უწოდეს რევოლიუციონური სახელები, ბავშვების ქშიბლებმა თავისი მისასალმებელი სიტყვებით აღნიშნეს, თუ რა დიდი მავნებლობა მოაქვს მუშათა კლასისათვის სარწმუნოებას, რომელიც აბნელებს და აჩლუნგებს მუშების გონებას, დაბოლოს გამოსთქვეს რწმენა, რომ მათი ბავშვები აღზრდილი იქნებიან არა ისე, როგორც იზრდებოდენ თვით ისინი ან მათი მამა-პაპანი, არამედ კომუნისტურ პრინციპების მიხედვით, ყოველგვარ ცრუმორწმუნეობის გარეშე.

შემდეგ მუშებმა გაიცნეს კურსანტების ყოფა-ცხოვრება, კურსანტები კი, მუშებთან საუბრის დროს გაეცნენ მათ მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობას.

შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია, მხოლოდ ამჟამად საჭიროა მისი გაღრმავება სისტემატიური კულტურულ განმანათლებელ მუშაობის წარმოებით.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ პარტსკოლაც თავის მხრივ სავსებით გაატარებს ცხოვრებაში დასახულ ამოცანებს და კერძოდ ყოველგვარ ღონისძიებებს იხმაროს ჩამორჩენილ მუშების გათვითცნობიერების საქმის დადებითად წარმართვისათვის.

პარტკორი ბ. დ.

ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის გამო

მოსკოვი. 26 ნოემბ. მოდის მრავალი საპროტესტო რეზოლიუციები ამხ. ტროცკის გამოსვლის წინააღმდეგ მისი წერილის „ოქტომბრის გაკვეთილების“ გამო. მიღებულია რეზოლიუციები: ტამბოვის, ჩერნიგოვის, კიევის საგუბ. კომიტეტის და სხ. პარტ-მუშაკებისაგან.

[illegible] დების სახელით

მოსკოვი. 27 ნოემ. მოსკოვის პირველ საგუბერნიო და სამხედრო პარტიული კონფერენცია მოსკოვის გარნიზონის და გუბერნიის ყველა სამხედრო კომუჯრედების სახელით აღუთქვამს ცენტრალურ კომიტეტს ყოველმხრივ დახმარებას პარტიის რკინისებური მთლიანობის აღდგენაში დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძის ნიადაგზე და აცხადებს, რომ ერთსულოვნად და გადაჭრით შეებრძოლება პარტიის ლენინიზმის გზიდან აცდენის ყოველგვარ ცდას.

ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 27 ნოემბ. ტულიდან, ჩელიაბინსკიდან, ნოვო-ნიკოლაევსკიდან, ვლადივოსტოკიდან, სიმფერო-[illegible] ოდესიდან მიღებულია ცნობები, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ღებულობენ დადგენილებებს ტროცკის ლიტერატურული გამოსვლის წინააღმდეგ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოითხოვენ სასტიკ ბრძოლას ლენინიზმის დამახინჯების ცდის წინააღმდეგ და პარტიულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებას პარტიის და ლენინიზმის ისტორიის შესასწავლად.

პროფკავშირებში

თელავის პროფკავშირთა ბიუროს მუშაობა

უკვე ჩატარებულია როგორც თელავში, ისე მთელ მაზრაში ხელ-ახალი არჩევნები ადგილკომების, რომელთაც მიეცათ ინსტრუქციები თავის მოქმედების შესახებ. ყველა ადგილკომის ოქმები იგზავნება კავშირებში და ამნაირად მუდმივი ძაფია მათ შორის გაბმული.

რომ გაცხოველდეს მუშაობა და ადგილებთან მჭიდრო კავშირი დამყარდეს, პროფბიურომ კავშირებთან და დამზღვევ სალაროსთან ერთად შეიძინა საკუთარი ტრანსპორტი სოფლებში სასიარულოთ.

პროფბიუროს დადგენილებით გამოყოფილ იქნა პროფკავშირის დღე—ორშაბათი, როდესაც ყველა კავშირის გამგეობების სხდომები იმართება, მხოლოდ მეორე დღეს ხდება პროფბიუროს გამგეობის სხდომა და აქ იკრიბება წინა-დღით წამოყენებული ცოტათ თუ ბევრათ ღირსშესანიშნავი საკითხები.

პროფბიურომ უკანასკნელ თავის სხდომაზე მთელ რიგ საყურადღებო საკითხებს მიაქცია ყურადღება და გამოიტანა შესაფერისი დადგენილებანი:

უნდა გაიხსნას მუშთა კოოპერატივი, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნები.

ვინაიდან თელავის მაზრის მუშა-მოსამსახურეთათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს დასასვენებელი სახლის გახსნა ადგილობრივ, რათა დაქირავებულთ შეეძლოთ შვებულების ნაყოფიერად გამოყენება, ამისათვის აუცილებელ საჭიროებად იქნა ცნობილი დამზღვევ სალაროსთან ერთად დასასვენებელ სახლის გახსნა, რისთვისაც შედგენილ იქნა განსაკუთრებითი კომისია (ამხ. თოხაძე, ცინცაძე და პატაშვილი), რომელსაც მიენდო წინასწარი მუშაობის ჩატარება. პროფბიუროს შუამდგომლობით გადიდებულ იქნა ალმასკომის დაბალ თანამშრომელთა ჯამაგირი 100 პროცენტით, ხოლო მაღალ მოსამსახურეთა—50 პროცენტით.

აღიძრა შუამდგომლობა ალმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რათა პროფბიუროს გადმოეცეს საფონდო მამულებიდან რამდენიმე დესეტინა ვენახი და აგრეთვე ქალა, რასაც დაამუშავებენ უმუშევარი კავშირის წევრნი.

წინანდლის რაიონში მუშა-მოსამსახურეთათვის უნდა გაიხსნას წითელი სასადილო და სხვა. ამას გარდა პროფბიურომ მიზნათ დაისახა გააცხოველოს კულტმუშაობა, რისთვისაც გამოჰყო განსაკუთრებული ამხანაგი ამ დარგის შესაფერ სიმაღლეზე დასაყენებლათ.

ვან.

კოოპერაცია

თამბაქოს წარმოება სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრაში იმყოფება 10 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. მათში ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მეთამბაქოეთა სამი ამხანაგობა. სამივე ეს ამხანაგობა დაარსდა მიმდინარე წლის თებერვალში. ამ ამხანაგობათა მუშაობამ უკვე საკმაო ფართე ხასიათი მიიღო. მათ მიერ დამზადებულია 12.000 ფუთი თამბაქო. შესყიდვას აწარმოებდენ მტკიცე ფასებში. ეხლა კი—თამბაქოს განაღდების შემდეგ, ყოველივე წევრს ურიგებენ დივიდენდის სახით ფუთზე 2 მანეთს. წევრების საერთო რიცხვი კი აღის 2.000-დე.

ამასთანავე სამივე ამხანაგობა შეუდგა წრევანდელ მოსავლის უხვად შეძენასა და გასაღებას.

ლაგოდეხის ამხანაგობა „შველა“ ამზადებს 20.000 ფუთს, ამ მიზნით მას უკვე დარიგებული აქვს ავანსად 70.000 მან.

ვარდისუბნის ამხანაგობა „სიმართლე“ ამზადებს 20.000 ფუთს. გაცემულია ავანსების სახით 50,000 მ.

ამხანაგობა „კახეთის თამბაქო“ ამზადებს 5.000 ფუთს. ავანსად გაცემულია 12.000 მ.

წარმოკავშირს ჰყავს იქ სპეციალისტი-ინსტრუქტორები. იგინი ასწავლიან გლეხობას თამბაქოს მოვლა-მოშენებას. მათ დაფოთვლას, გახმობას, ხარისხებათ დანაწილებას და სხვა.

ამ ამხანაგობების მუშაობით წაქეზებული გლეხობა უფრო ფართედა და მეტის ხალისით ეკიდება თამბაქოს წარმოებას.

ასეთი ენერგიული და ერთგული მუშაობის შედეგი ის იქნება, რომ თამბაქოს წარმოება ერთ უმთავრეს და შემოსავლიან ადგილს დაიჭერს მთელ კიზიყის კულტურულ მეურნეობაში.

კოოპერაცია სიღნაღში

კოოპერაციამ სიღნაღში მტკიცედ მოიკიდა ფეხი და მთლად ჩაახრჩო [illegible] რაციის ბუნებით და იმით, რომ იგი განიცდის მმართველ ხელისუფლების მფარველობას. რაც შეეხება კოოპერატივის გამგეობას, ვერ ვიტყვით, რომ იგი ირჯებოდეს ფრიად მიზანშეწონილად და გამჭრიახად.

აი ამისი ნიმუშიც. მან, გამგეობამ, მოუყარა ეპოში თავი ისეთ მოსამსახურე პირთ, რომლებიც წინად ჩარჩულ ვაჭრობას ეწეოდენ. ცხადია, რომ ამათ შეაქვთ ეპოშიაც თავისი ჩარჩული სულისკვეთება: უზრდელი მოპყრობა მუშტრებისადმი, მეტადრე [illegible] გლეხი.

ვერ მოაწესრიგა ეპომ აქნობამდის ღვინით ვაჭრობა და სასადილო. ყველაზედ ძვირად ღვინოს ესენი ჰყიდიან და ვერც მისი ღირსებით დაიკვეხენ, ხოლო სასადილოს მოწყობის ნიადაგზე სრულ უნიჭობას იჩენენ. სასადილო ბევრად უკეთესად, სუფთად და ხელსაყრელ ფასებში აქვს მოწყობილი კერძო პირს ნიკ. ნადირაშვილს.

წკიპურტი.

ჩაის წარმოება, გასაღება და მოხმარება საქართველოში

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 729 №-ში მოთავსებულია მოკლე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი ცნობა, გამოგზავნილი ჩაქვიდან, შემდეგი შინაარსის: „ჩაქვის მამულში ჩაის მოსავლის აკრეფა 3 ნოემბერს დამთავრდა. ჩაის წრევანდელი მოსავალი არის სარეკორდო და კარგი ხარისხის. მამულის პლანტაციიდან წრეულს 376 ათასი გირვანქა ხმელი ჩაი, როდესაც რევოლიუციის წინაპერიოდის უმაღლესი მოსავლის რაოდენობა 287.071 გირ. იყო. მამულის ჩაის ქარხნის მიერ მიღებულია 422 ათასი გირ. ხმელი ჩაი, რომლიდანაც უმაღლესი ხარისხისაა—15 პროც. 1 ხარისხის—40 პროც. 2 ხარისხის—40 პროც. და ნამცეცული 5 პროც.“

ეს ცნობა მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი იმით, რომ იგი ნათლად მოწმობს, ამ დიდმნიშვნელოვან, ჩვენი სას.-სამეურნეო დარგის პროდუქციის ზრდას, რომლის მატებაც იხატება 30 პროც. შედარებით რევოლიუციის წინა დროის პროდუქციასთან, და მეორეც იმით, რომ მისი ხარისხი, რომლის ნახევარზე მეტი—55 პროც. უმაღლეს და პირველ ხარისხზე მოდის, იმ დროს, როდესაც რევოლიუციის წინა დროისთვის მისი რაოდენობა მოსავლის დაახლოვებით მეხუთედს შეადგენდა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კულტურის განმტკიცება-გაფართოების საქმეს ჩვენი ქვეყნისთვის, მის სამეურნეო ცხოვრებაში, ამას ნათლად დავინახავთ, თუ გავაშუქებთ საქართველოში ჩაის მოსავალ-მოხმარებასთან ერთათ აგრეთვე მის მოხმარებას და ბაზარს საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით, რითაც ცხადი გახდება ამ კულტურის წარმოების პერსპექტივა.

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებას შემდეგიდან ვხედავთ:

	სივრცე—დღიურ.	მოსავალი—ათას გირ.
საშუალოდ 1909—13 წ.	680	1.031,2
„ 1914—16 წ.	860	1.480,7
„ 1924 წ. *)	1090	1.654,6

ამნაირათ, მიმდინარე 24 წლის ჩაის პლანტაციების სივრცეც და მოსავალიც გაცილებით მეტია, ვიდრე მშვიდობიანი დროის თუ ომის პერიოდის; ჩაის პლანტაციების სივრცე უკვე 60 პროც. აღემატება მშვიდობიანი დროის სივრცეს და აქედან ნათლად ვხედავთ, თუ რამდენათ მტკიცე ნაბიჯით ვითარდება ეს კულტურა საქართველოში.

ამხ. ი. ქურდიანის ანგარიშით (ჟურნალი „კავშირი“ № 15) საქართველოში წრეულს უნდა იქნას მიღებული სულ ცოტა 16,350 ფუთი დამზადებული ჩაი, რაც მინიმუმათ უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, და რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვან [illegible] ჯის (იმის [illegible] 1913 წელს რუსეთის ევროპის საზღვრისათვის 17 მან. და 96 კაპ. უდრიდა ფუთზე). სადღეისოთ, ამ კულტურის გასაშენებლათ გამოსადეგი სივრცე ნავარაუდევია 120 ათასი დესეტინით და გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირებზე—აჭარა-გურიაში თუ სამეგრელო-აფხაზეთში. მთელ ამ სივრცეზე ჩაის პლანტაციების გაშენება საქმე საქართველოს მისცემს ყოველწლიურათ არა ნაკლებ 1,8 მილ. ფუთს გამხმარი ჩაის, რომლის ღირებულება თუ ვიანგარიშებთ 1913 წ. საიმპორტო ფასით, უნდა უდრიდეს დაახლოვებით 32 მილიონ მანეთს, რაც სადღეისოთ უფრო გაცილებით დიდ თანხას შეადგენს. შედარებით 1913 წ. შავი ქვის მარგანეცის ექსპორტის ღირებულებასთან (72,4 მილ. ფ. 14,6 მილ. მან.), თითქმის ორ ნახევარზე მეტი ღირებულების თანხას უდრის ჩაის აღნიშნული რაოდენობის ფასი. ამ მოსავლით დაკმაყოფილებულ იქნება არამც თუ მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილება, არამედ მთელი საკავშირო მასშტაბის მშვიდობიანი დროის მოთხოვნილების 40 პროც. რაც მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს საბჭოთა რესპუბლიკების სავაჭრო თუ საანგარიშო ბალანსს.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ჩაის ბაზარს და მის მოხმარებას ომის წინა დროისთვის **) (აჭარის გარდა, რადგან აქ ტრანზიტით შემოტანილ-გატანილი რაოდენობის გამოსარკვევი ცნობები არ გვაქვს) შემდეგს დავინახავთ—ფუთობით:

	მიიღო	გაიტანა
1. დასავ. საქართ.	6.574	15.623
2. აღმოს. „	63.337	49.460
3. აფხაზ. (კაბოტაჟ.)	1.769	12
სულ	71.680	65.095

ამნაირათ, საქართველოს სამს უმთავრეს რაიონს მიუღია 71.7 ათ. ფუთი ჩაი, ხოლო გაუტანია—65.1 ათ ფ., ე. ი. 6,6 ათ. ფუთი ნაკლები, ვიდრე შემოუტანია: დასახელებულ რაიონებიდან — ორი—აღმ. საქ. და აფხაზეთი არის მომხმარებელი რაიონები, ხოლო დას. საქართველოს უფრო მეტი გაუტანია, ვიდრე შემოაქვს, რაც აიხსნება ადგილობრივ წარმოებით ერთი მხრივ და მეორე—ფოთიდან თუ აჭარიდან შემოტანილი რაოდენობით, რომელიც რკ.-გზ. ცნობებს აღურიცხავი რჩება

აღნიშნულ მიღება-გატანის სალდოს მიხედვით წლიურათ ჩაის მოხმარება per capita უდრის გირვანქობით აღმ. საქართველოში—0,45 და აფხაზეთში—0,48 გირვანქას, რაც საშუალოდ შეადგენს ამ ორივე კუთხისთვის—0,46 გირვანქას (გამოანგარიშებულია ეკონომიური წესით). თუ ჩვენს ნორმას დაუპირდაპირებთ რუსეთის ნორმას, გამოანგარიშებულს ამავე წესით, იგი შედარებით რუსეთის ნორმასთან ორჯერ მეტათ ნაკლებია; რუსეთის წლიური ნორმა 1913 წ. უდრიდა per capita—1,1 გირ. ჩაის მოხმარებას. რუსეთის ნორმასთან შედარებით ჩვენი ნორმა ნაკლებია არა მარტო აღნიშნული წესით გამოკვლევის დროს, არამედ უშუალო დაკვირვების მოხდენის წესის მიხედვითაც მშვიდობიანი დროის პირობებში. აი ამის მაგალითი: ჩაის მოხმარების წლიური ნორმა per capita უდრის საქართველოს ქალაქებისათვის საშუალოდ—0,03 ფუთს, იმ დროს, როდესაც იგი შეადგენს ბაქოსათვის—0,04 ფუთს, როსტოვისთვის—0,046 ფუთს, და მოსკოვისთვის—კი 0,07 ფუთს, (იხ. „Питание городского населения Грузии“. გვ. 26. ამავე სტრიქონების ავტორის.). აღნიშნული განსხვავების მთავარი მიზეზია ჩაის ხმარების ის ფართე გავრცელება, რასაც ჩვენ ვხედავთ რუსეთში საქართველოსთან შედარებით a prior-ულათაც-კი.

თუ საქართველოში ჩაის მოხმარების ეკონომიური წესით მიღებული ნორმით—per capita—0,46 გირვანქის ანგარიშით ვივარაუდებთ, იგი წლიურათ დაახლოვებით ისაზღვრება 28 ათ. ფუთით მშვიდობიანი დროის პირობებში.

1913 წ. მარტო თბილისი იღებდა—55,162 ფ. და გზავნიდა-კი—44,188 ფ., მაშასადამე, ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რჩებოდა 10,974 ფუთი ჩაი; ამავე თბილისმა 1914 წელს—მიიღო 39,445 ფ., გაგზავნა—29,176 ფ., ხოლო დარჩა—10,279 ფ., თითქმის იმდენივე, რაც 1913 წელს.

მაშასადამე, ჩაის საერთო მოხმარებიდან თბილისი საჭიროებს არა ნაკლებ ათი ათასი ფუთს ნორმალური მოხმარების პირობებში, რაც საერთო მოხმარების დაახლოვებით ერთ მესამედს—36 პროც., შეადგენს.

თუ ამავე თვალსაზრისით მიუდგებით საბჭოთა რესპუბლიკების ჩაის ბაზარს, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი, როგორც ომამდის, აგრეთვე დღესაც საზღვარ-გარეთის ბაზარზეა დამოკიდებული თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. საზღვარ-გარედან შემოტანილი ჩაის რაოდენობა და ღირებულება შემდეგია:

	ათას. ფუთ.	ათასი მან.
1913 წ.	4.628	62.169
1921 წ.	40	730
1922 წ.	92	1.637

ამნაირად, რუსეთის ყოფილი იმპერიის ჩაის საერთო მოთხოვნილება 4,6 ათ. მილიონ ფუთს უდრიდა 62, მილ. მანეთის ღირებულებით, რაც უკანასკნელი წლებისთვის ფრიად მნიშვნელოვნად არის შემცირებული სათანადო საექსპორტო ეკვივალენტის გაღების სიძნელით, რასაც [illegible] ჰქონდა და აქვს კიდეც.

თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის სხვადასხვა კუთხეების ჩაის მოხმარების ნორმებს, რომელთანაც არის გაერთიანებული აგრეთვე ყავის და მათი სუროგატის მოხმარება, რომლის გამოყოფაც ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მოხერხდა, ჩვენ მეძლევა მოხმარების წლიურ ნორმებს ვიღებთ per capita (გირვანქობით):

	ქალაქ.	სოფ.
1. რუს. მომხ. რაიონი	3,65	1,64
2. „ მწარმ. „	2,92	2,00
3. უკრაინა	2,26	0,05
4. ყირიმი	2,43	5,2
5. დონი და ჩრდილოეთ კავკასია	2,48	1,46
6. ციმბირი	2,92	2,55
7. ყირგიზეთი	2,53	4,01
საერთოთ	2,92	1,83

ამნაირათ, ჩაის, ყავის და მათი სუროგატების წლიური სულადი მოხმარება უკანასკნელი წლებისთვის უდრიდა საშუალოდ ქალაქის მოსახლეობისათვის—2,92 გირ ხოლო სოფლის—1,83 გირ. აღნიშნული ცნობების მიხედვით ადვილათ შეგვიძლიან პრაქტიკული ანგარიშის დროს მოსახლეობის გათვალისწინებასთან ერთად ვივარაუდოთ საბჭოთა რესპუბლიკების თვითეული რაიონის მომხმარებლობითი უნარიანობა, რომლის მოხმარებაც საკავშირო მასშტაბით უდრის ქალაქისათვის—1,6 მილ. ფუთს, ხოლო სოფლისთვის 5,1 მილ. ფ. და საერთოთ-კი, 6,7 მილ. ფუთს. თუ დაუპირდაპირებთ ერთის მხრივ ამ კულტურის განვითარებას ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების მიხედვით, მეორე მხრივ-კი საბჭოთა კავშირის საერთო მოთხოვნილებას ამ პროდუქტში, მიზანშეწონილათ უნდა ვიცნოთ ხელისუფლების მიერ ამ დარგისადმი მიპყრობილ იმ ყურადღებას, რასაც აქვს ადგილი დღევანდელს პირობებში. ის საწარმოვო ხუთწლიანი გეგმა და ამ დარგის განსავითარებლათ განზრახული სააქციონერო საზოგადოება, რომელზედაც ლაპარაკობს ამხ. კანდელაკი (იხილეთ გაზეთი „Заря Востока“ № 724), ამ საქმისათვის გადადებულ თანხასთან ერთათ, მტკიცე განვითარების გზას მისცემს ამ ფრიად ძვირფას და სარგებლიან კულტურის წარმოების საქმეს საქართველოში და მით მნიშვნელოვნათ აწევს ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკას, რაც ამავე დროს ფრიად დადებით გავლენას მოახდენს საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიკაზედაც,—მის სავაჭრო თუ საანგარიშო ბალანსზე დადებითი გავლენის მოხდენის სახით, ამას კი უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში და მის დამოუკიდებელ განვითარებისათვის.

ლუარსაბ კარბელაშვილი.

---

*) 1923 წ. მოსავალი გამოანგარიშებულია 1909—13 წ. საშუალო მოსავლის მიხედვით.

**) რკ.-გზ. ცნობებით, საშუალოთ 1909-13 წ.წ.

ლად სურს თავი დაახწიოს თავის დაწყევლილ წარსულს და ეძებს ახალ გზებს.

განვიხილოთ ეს საკითხი. შეიძლება მენშევიკების დროს მართლაც არსებობდა რამე დამოუკიდებლობა. უპირველესად ყოვლისა კიდევ შევეხოთ არმიას. ჩვენ გვიკიჟინებენ იმას, რომ საქართველოში იმყოფება რუსეთის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილები. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში თხოვნით და ამასთანავე დაჟინებითი თხოვნით იდგენ გერმანიის ჯარები (საქმე, ხომ რაოდენობაში არ არის, არამედ პრინციპშია). მაგრამ [illegible] ერთი წუთით მენშევიკებს, თითქოს გერმანიის ჯარები მათ [illegible] „ლოგავში“ ოსმალეთის იმპერიალისტებს გაუმაძღარი მადის შესაკავებლად—ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ რატომ ეხვეწებოდენ ცრემლებით ღვრით ბ-ნი გეგეჭკორი თბილისში და ბ-ნი წერეთელი პარიზში ინგლისის მთავრობას არ გაეყვანა ჯარი საქართველოდან?

რატომ მიმართეს მენშევიკებმა იტალიელებს ასეთივე თხოვნით: „იტალიის დაინტერესება ისეთი სერიოზული ჩანდა, რომ ერთ დროს კიდევაც თავი იჩინა შებრუნებულმა მიმდინარეობამ, სახელდობრ საქართველოს მთავრობის იტალიურმა ორიენტაციამ“ (გვ. 122, კურსივი ავტორის). შეიძლება სთქვან, რომ ეს ჯარები (ინგლისის და იტალიის) მენშევიკებს სჭიროდათ მოხალისეთაგან თავის დასაცავად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში „სოციალისტები“ რატომ არ დაუკავშირდენ წითელ არმიას, რომელიც მუსრს ავლებდა რეაქციას და, პირიქით, აწვდიდენ მოხალისეებს, ოფიცრებს ნავის და სხვა საჭირო საგნებს და ამით აძლიერებდენ მათ?.

როგორც სჩანს, ამას არ უარჰყოფენ თვით მენშევიკებიც, აქ საკითხი იმაში კი არ არის, საქართველოში იქნება თუ არა რომელიმე არა ქართული არმია, არამედ რომელი არმია იქნება: მენშევიკებს სურდათ თბილისის ქუჩებში ეხილათ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა იმპერიალისტების ფერადი ჯარები. ჩვენ, ბოლშევიკებს და ჩვენთან ერთად საქართველოს ყველა პატიოსან მშრომელს, რომელსაც პოლიტიკური საკითხების ცოტა რამ მაინც გაეგება, უმჯობესად მიგვაჩნია, უკეთ რომ ვსთქვათ, გვსურს ვხედავდეთ აქ რუსეთის პროლეტარიატის შეიარაღებულ არმიას, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს საერთო პროლეტარული ინტერესები და დაუზოგავად შეებრძოლებით ყველას, ვინც ხელს შეგვიშლის ჩვენ ამ საქმეში.

ასეთივე წარმატებით შესაძლებელია ხვალ საქართველოს არმიის ნაწილები დაყენებულ იქნენ რუსეთის რომელიმე გუბერნიაში, და ეს არ იქნება არა თუ რუსეთის „სუვერენიტეტის“ რაიმე შელახვა, არამედ, პირიქით, ეს იქნება მხოლოდ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მჭიდრო შეკავშირების და მთლიანობის მაჩვენებელი, ურომლისოდაც შეუძლებელია რევოლიუციის გამარჯვება.

მენშევიკები სრულებით არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კავშირს („მანდატსაც“) რომელიმე სახელმწიფოსთან, ისინი ემხრობოდენ რუსეთთან გაერთიანებასაც. „ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ მუდამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში; საქართველოში ისინი სასტიკად და, უმეტეს შემთხვევაში, ძლევამოსილად, — ყოველშემთხვევაში, ასე ეგონათ მათ,—ებრძოდენ საქართველოს ავტონომიის მომხრეებს, იცავდენ „ცენტრალიზმს“. ბუნებრივია, ასეთი პოზიცია შეინარჩუნეს მათ დროებითი მთავრობის დროსაც, ვიდრე რუსეთის მენშევიკებს, რომლის პოლიტიკური მიმდევრები და მონაწილენი იყვნენ ისინი, ეჭირა გავლენიანი მდგომარეობა რევოლიუციის ხელმძღვანელობაში, ამ დროს ისინი დიდი თანაგრძნობით არ უცქეროდენ „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგის გამარჯვებას საქართველოში და რუსეთის სხვა განაპირა მხარეში“ (გვ. 4. ზ. ა., კურსივი ჩემია, გარდა სიტყვისა „რუსეთის“ ლ. ღ.) ეხლა ისინი ემხრობიან რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატს საქართველოზე და მისთვის საქართველოს ყველა სამეურნეო სიმდიდრეების გადაცემას საკონტროლოდ და საექსპლოატაციოდ.

„საერთოდ, ჩვენი მთავარი დელეგატები (წერეთელი, ჩხეიძე. ლ. ღ.), როგორც აღმოჩნდა, სავსებით არ ეწინააღმდეგებოდენ პრინციპიალურად მანდატს“ (გვ. 220 ზ. ა.). როგორც ხედავთ, აქაც საკითხი იმაში კი არ არის, იქნება თუ არა საქართველო კავშირში რომელიმე სახელმწიფოსთან, არამედ იმაში, როგორ სახელმწიფოსთან: **მენშევიკებს სურდათ და სურთ იყვნენ რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის „მანდატურ“ მართვა-გამგეობის ქვეშ** (მხოლოდ ფული ჰქონდეს, ეს სულ ერთია ვინ იქნება,—ასე მსჯელობენ საწყალი მეძავი ქალები, რომლებიც ლუკმა პურისთვის ჰყიდიან თავის თავს), ჩვენ კი რევოლიუციონური რუსეთის სწორუფლებიანი მოკავშირეები ვართ, ჩვენ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის სწორუფლებიან წევრებად ვართ, და გვსურს დავრჩეთ ასეთებად. მენშევიკები, რომლებიც განიარაღებული არიან თავიანთ „კრიტიკაში“ ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკით (მე-12 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებები და მათი თანდათანობით ცხოვრებაში გატარება), ამბობენ: ბოლშევიკების ნაციონალური პოლიტიკა თავის ძირითად ნაწილში სწორია, მაგრამ... ქაღალდზე რჩება, ვინაიდან ნამდვილად კი საქართველო ეკონომიურად იქცა ანუ იქცევა რუსეთის ახალშენად (ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დარგში საკმაოდ ხშირად და საკმაოდ უხეიროთ, რომ არ ვსთქვათ უნიჭოთ, ვარჯიშობს „ჩვენი მეგობარი“ ს. დევდარიანიც, რომელიც სხვაგვარად იმეორებს ულტრა-მენშევიკურ ლაყბობას ამ საკითხის შესახებ—ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს თვით ს. დევდარიანის მენშევიკურ ბუნებას, რომელსაც მან თითქოს თავი დააღწია). შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ საქართველოში იყო ან არის მრეწველობის რომელიღაც განვითარებული დარგი, რომელიც ჩვენ გადავეცით ანუ რუსეთმა „წაგვართვა“ ჩვენი საქართველოს მშრომელების საზარალოდ, შეიძლება ბატონი მენშევიკები, განსაკუთრებით ს. დევდარიანი, მიგვითითებენ ჩვენ, თუ სად არის ჩვენი ქვეყნის ის განვითარებული ეკონომიკა, რომელსაც თავს ესხმის რუსეთი და, ამრიგად, ჩვენ გვაქცევს თავის ახალშენად (სამწუხაროდ, არც ხასიათი და არც სიდიდე ჩვეულებრივი საგაზეთო წერილის საშუალებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამ მეტად საინტერესო საკითხზე. ამის ადგილია ჩვენს ეკონომიურ ჟურნალებში და გაზეთებში) არ შეიძლება ყოველთვის ცარიელი ლაყბობა ახალშენად გადაქცევის შესახებ, ფაქტებზე მიუთითებლათ, განსაკუთრებით ეს არ შეჰფერის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პასუხისმგებელ თანამშრომელს დევდარიანს.

ჩვენ ფაქტებით ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა რუსეთი, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, საბჭოთა კავშირი, თავისი ისედაც დამძიმებული ბიუჯეტიდან სერიოზულ დახმარებას გვიწევს ჩვენ (დოტაცია ჩვენს ბიუჯეტს, ჰიდროსადგური, კრედიტები სატყეო მასალის დამზადებისათვის, ყუთების და ბიდონების წარმოების აღსადგენათ ბათომში და სხვა). მართლაც და, ბოლშევიკები დამნაშავე ხომ არ არიან იმაში, რომ საქართველო საერთოდ ღარიბი ქვეყანაა, რომ მას არ აქვს მრეწველობა.

შეიძლება მენშევიკებს დაავიწყდათ ის, რომ საქართველოში სამი წლის განმავლობაში ბატონობის დროს ისინი მხოლოდ იმ სიმდიდრით სცხოვრობდენ, რომელიც დარჩა აქ კავკასიის ფრონტიდან. ზედმეტი არ იქნებოდა, თუ ყველა „კრიტიკოსები“ მოიგონებდენ ნ. ჟორდანიას სიტყვას დამფუძნებელ კრებაში, რომელიც მან წარმოსთქვა, თუ არ ვცდები 1920 წლის ბოლოს; მან განაცხადა, რომ კავკასიის ფრონტიდან დარჩენილი სიმდიდრე უკვე შეჭმულია და საქართველო სდგას სამეურნეო კატასტროფის წინ—თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ სესხის აღება უცხოეთში, ე. ი. საქართველოს უცხო კაპიტალისტებისათვის გადაცემა.

მაგრამ, ვნახოთ როგორ ესმოდათ მენშევიკებს ეკონომიური ურთიერთობა „დამოუკიდებელ“ საქართველოსა და მის „მანდატიან“ მეპატრონეების შორის: „მე აქ არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა კავშირი ჰქონდა იტალიის ორიენტაციას კავკასიაზე დანაწილების და კომპენსაციის იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ატარებდენ ევროპაში და რომელიც აუცილებელი იყო 1919 წლის პირობებში... აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში გაემგზავრა იტალიის მისია, რომელიც შესდგებოდა სამხედრო და არა სამხედრო პირებისაგან; მისიას მეთაურობდა პოლკოვნიკი გაბბა.

„ამ საკითხის შესახებ მარკიზ დელლა-ტორეტამ (მაშინ ის დელეგაციის მრჩეველი იყო) ქართველ დელეგატებს უთხრა (2 მაისს), **რომ მისია მიემგზავრება იმ მიზნით, რომ გაეცნოს ქვეყნის რესურსებს... შესაძლებელია, დაუმატა მან, რომ ინგლისის ჯარები გაყვანილი იქნეს საქართველოდან და ისინი შეიცვალოს იტალიის ჯარებით: ამ შემთხვევაში იტალიელები, რასაკვირველია არ ჩაერევიან საქართველოს შინაურ საქმეებში**“ (გვ. 222, ზ. ავალიშვილი; კურსივი ჩემია).

რათ უნდა „ჩაერიონ“, როდესაც მათ ისედაც ნებაყოფლობით აძლევენ საქართველოს მთელ ბუნებრივ სიმდიდრეს მათ სრულ განკარგულებაში. „იტალიის მთავრობა იძულებული იყო სერიოზულათ დაფიქრებულიყო მეტათ საპასუხისმგებლო საკითხზე: გაგზავნოს თუ არა თავისი ჯარები ამიერ-კავკასიაში“.

ეს კი თავისი მნიშვნელობით უდრიდა საკითხს იტალიის „მანდატის“ შესახებ საქართველოზე.

„მისი იდეური დასაბუთება ძნელი არ იქნებოდა. დახმარების გაწევა დამოუკიდებლათ გამხდარ ახალგაზრდა ერებისათვის, რომ მათ განემტკიცებიათ ეს დამოუკიდებლობა—განა ეს არ შეეფერებოდა გაერთიანებულ იტალიის კეთილშობილ ტრადიციებს, გარიბალდის ანდერძს და სხვას? საქართველოს და იტალიის მხრიდან ბევრი იყო ამგვარი ხასიათის განცხადებები. **მატერიალური საფუძველიც აგრეთვე ნათელი იყო. იტალიას გზა გაეხსნა მისთვის საჭირო ნედლი მასალისა და სათბობი მასალისაკენ და მისი საექსპედიციო ხარჯები სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა კონცესიებით**“ (გვ. 123, კურსივი, გარდა სიტყვებისა „იტალიის მანდატის შესახებ“, ყველგან ჩემია). ცოტათი უფრო ადრე, 1918 წელში: ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიამ მომავალი სარგებლობის გარდა მიიღო უშუალო ჯილდოც მისთვის საჭირო ნედლი მასალის სახით (მცირე რაოდენობით), რომელიც ჩვენ გვქონდა (ეს რაოდენობა მცირეა გერმანიისათვის, მაგრამ მცირე არ არის საქართველოსათვის. ლ. ღ.); **იმ შემთხვევაში, თუ ომი გაგრძელდებოდა და სამხედრო ოპერაციები განვითარებული იქნებოდა ინგლისელების წინააღმდეგ მესოპოტამიაში და სპარსეთში, მაშინ მას (ოსმალეთთან ერთად) ბაზა ექნებოდა ოპერაციებისათვის ამიერ-კავკასიაში.**

„ახეთი იყო მედალის მეორე მხარე“ (გვ. 75, კურსივი ავტორისაა).

ასეთია საქართველოს პოლიტიკური და სამეურნეო „დამოუკიდებლობა“ მენშევიკების გაგებით. აი ასეთ „დამოუკიდებლობას“ აძლევდენ მენშევიკები „იდეურ შინაარსს“, რაზედაც ასე აშკარათ და ცინიკურათ მოგვითხრობს მოქ. ავალიშვილი. პროლეტარულ ენაზე გადმოთარგმნით, ეს ნიშნავს: 1) ერის—ქართველი მუშების და გლეხების ინტერესები—მენშევიკებს სრულიად არ აინტერესებდათ (მხოლოდ საქართველოს გაბოროტებულ მტერს შეეძლო მოენდომებინა, რომ ამიერ-კავკასია გადაქცეულიყო „ბაზათ სამხედრო ოპერაციების განსავითარებლათ ინგლისელების წინააღმდეგ მესოპოტამიაში“); 2) ყველაფერი, რაც გნებავთ, ყველაზე უფრო არახელსაყრელი და სამარცხვინო კავშირი ვისთანაც გნებავთ, თუგინდ დენიკინთან, მხოლოდ შორს საბჭოთა რუსეთისაგან, და ბოლოს, 3) **ლაყბობა დამოუკიდებლობაზე მენშევიკებისათვის იყო ცარიელი ფრაზა მასების მოსატყუებლათ. საქმით ეს ნიშნავს—საქართველოს პოლიტიკურ და სამეურნეო დამორჩილებას დასავლეთის კაპიტალისტებისათვის.** ჩვენი პარტია ყოველთვის წინააღმდეგი იყო და ის მომავალშიაც წინააღმდეგი იქნება ამგვარი მენშევიკური „მანდატური დამოუკიდებლობის“.

ჩვენ ვქმნიდით და ვქმნით ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ნამდვილ დამოუკიდებლობას დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ მტაცებლებისაგან; ჩვენ გვინდა მჭიდრო კავშირი რუსეთის სახელოვან პროლეტარიატთან და ასეთ ჩვენს დამოუკიდებლობას ჩვენ ვამყარებთ ეკონომიურ ბაზაზე, ისევ რუსეთის მუშებისა და გლეხების აქტიური დახმარებით.

საქართველოს მშრომელებმა მჭიდროთ დაუკავშირეს თავისი ბედი საბჭოთა კავშირის მშრომელების ბედს და ბურჟუაზიის ნასუფრალის გულისათვის ისინი არ უღალატებენ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც გვასწავლიდენ ჩვენ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სხვები.

ამ მძიმე ბრძოლაში, ბრძოლაში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის, ჩვენთან იქნებიან ყველა ის საუკეთესო მუშური ელემენტები, რომლებიც აქამდი მენშევიკურ პარტიაში იყვნენ.

ლ. ღოღობერიძე.

სასოფლო-სამეურნეო კურსები

[illegible] 24 ნოემბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით გაიხსნა სასოფლოსამეურნეო კურსები წითელ-არმიელთათვის. ამ კურსების გახსნით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მიზნად ისახავს [illegible] დროებით ოჯახმოგლეჯილს სოფლის მეურნეს—წითელარმიელს ელემენტარული ცოდნა სასოფლო-მეურნეობის ყოველ დარგში, და [illegible] დაუბრუნოს გამზადებული მეურნე.

კურსებზე მასწავლებელნი მოწვეული არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის და აგრონომიული ტეხნიკუმების საუკეთესო ძალები.

მეცადინეობა კურსებზე გაგრძელდება 9 კვირა. კურსების სამეცადინო ძირითადი საგნებია: მემინდვრეობა, მეხილეობა-მებაღეობა და მესაქონლეობა. პირველ სამ კვირას მეცადინეობა იწარმოებს მემინდვრეობაში, ამავე დროს გავლილი იქნება მეაბრეშუმეობა—მეფუტკრეობა და სხვა. შემდეგი სამი კვირა მიძღვნილი იქნება მესაქონლეობისათვის, რომლის შესწავლის დროს გავლილი იქნება აგრეთვე მეურნეობის ის დარგები, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მესაქონლეობასთან. უკანასკნელ სამ კვირაში წითელარმიელებს შეასწავლიან მებაღეობა-მეხილეობას, მევენახეობას და სხვას.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს როგორც დილით, ისე საღამოობით.

კურსები გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკ. ლექტორმა იულიან ლომაურმა, რომელმაც წითელარმიელებს გააცნო კურსების მნიშვნელობა. საბჭოთა წყობილებაში,—აღნიშნა ლექტორმა, წითელარმიელი ღებულობს არა მარტო სამხედრო ცოდნას, არამედ ემზადება სამოქალაქო ცხოვრებისათვის და იძენს აგრეთვე სამეურნეო ცოდნას, რაც აუცილებელია მისი მეურნეობის წარმატებისათვის.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. კარბელაშვილმა საქართველოს სასოფლო მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, თუ რამდენად მდიდარია ჩვენი ქვეყანა ძვირფასი კულტურით და ამავე დროს რამდენად ჩამორჩენილია იგი ჩვენი სასოფლო მეურნის სამეურნეო ანბანის უცოდინარობის გამო. მომხსენებელმა გააცნო წითელარმიელთ, თუ რა არის საჭირო რომ გლეხის მეურნეობა აღორძინების გზას დაადგეს.

სხვა ღონისძიებათა შორის,—აუცილებლად საჭიროა იმ ახალგაზრდობის მომზადება სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის, რომელთაც წილად ხვდათ წითელ ჯარში ყოფნა. დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს ახალგაზრდა წითელარმიელებს დიდი გულისყურით მოეკიდონ მეცადინეობას სასოფლო-სამეურნეო კურსებზე.

პასუხი ამხ. გრ. გოგიბერიძეს*)

(იხ. „კომუნისტი" № 270).

[illegible] გაბედულების გამოჩენა არის [illegible], რომ ჩვენში ვინმეს სამეცნიერო თუ სალიტერატურო ნაწარმოების ობიექტიურ-კრიტიკული ანალიზი გაუკეთოთ, აღნიშნოთ მისი ღირსებაც და ნაკლიც.

[illegible]ში მიღებულია მხოლოდ ქება-დიდებით მოხსენიება ამა თუ იმ ავტორისა, ხოლო თუ ვინმე რაიმე ნაკლს აღნიშნავს, ის მზად უნდა იყოს ყოველგვარი ბრალდებისათვის.

ობიექტიურ კრიტიკას ჩვენში არავინ სწყალობს; არ სწყალობს მას ამხ. გრ. გოგიბერიძეც, რომელმაც მის მიერ გამოშვებულ წიგნზე „ადამიანის წარმოშობა"-ზე ჩემ იბიბლიოგრაფიულ შენიშვნის გამო მთელი აურზაური ასტეხა და [illegible] ცის დარღვევას ვინღა ჩივა!

პრეტენზიები ძალიან დიდი აქვს ამხ. გოგიბერიძეს; თუმცა წიგნის წინასიტყვაობაში მან თავის ნაშრომის მეცნიერული ღირებულების შეფასება [illegible] სპეციალისტებს, მაგრამ როგორც სჩანს ამ შეფასების დროს [illegible] აპატიე.

„სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების განხილვის დროს მე საჭიროთ ვცანი გამოვთქვა ჩემი შეხედულებაც ზოგიერთ საკითხის შესახებ. შესაძლებელია, რომ ჩემ მიერ გამოთქმულ შეხედულებას არ ეთანხმებოდეს ზოგიერთი [illegible] ბუნებისმეტყველი. იმედი მაქვს, რომ პრესის საშუალებით გაიმართება კამათი"—სწერს ის თავის წიგნის წინასიტყვაობაში. თუ დააკვირდებით, ამ წინასიტყვაობიდან ნათლად სჩანს, რომ ავტორს მეცნიერული დიდი პრეტენზიები აქვს, და ისეთ საკითხზე, როგორიც ადამიანის წარმოშობაა, თავის შეხედულებებს ანვითარებს. ეს კი დიდი გაბედულებაა და ასეთ ავტორს, ცხადია, რომ დიდი პრეტენზიები აქვს. ჩემს შენიშვნას ავტორი გაუბრაზებია, მაგრამ ეხლა ის თვითონვე სწერს: „განა მე სადმე განვაცხადე, ან დავსწერე, რომ ვითომც დიდი მეცნიერული გამოკვლევა მომეხდინოს და კარგ სამეცნიერო მაგალითს ვიძლეოდე?" მეც სწორეთ იმას ვამტკიცებდი ჩემს შენიშვნაში, რომ ამხ. გოგიბერიძეს სამეცნიერო გამოკვლევა არ მოუხდენია და წიგნის წინასიტყვაობა კი ისეთი კილოთი იყო დაწერილი, რომ თითქო მას ამერიკა აღმოეჩინოს.

ამხ. გოგიბერიძე ძალიან გაუხარებია კორრექტურულ შეცდომას ჩემს წერილში. მე ვსწერდი, რომ ზოგიერთი სიტყვების განმარტება „არა სწორი და არა მეცნიერულია", დაბეჭდილი კი იყო „არაა სწორი და არა მეცნიერული". ასეთი შეცდომები გოგიბერიძის წიგნში ხომ უამრავია. მე არ მოვიწონე სიტყვა [illegible] თუ დააკვირდება გოგიბერიძეც, უნდა დამეთანხმოს, რომ მის მიერ მოყვანილი ტიმირიაზევის განმარტება განსხვავდება მისი (გოგიბერიძის) განმარტებიდან. ტიმირიაზევი სიტყვა „კულტურულს" განმარტავს არაპირდაპირი მნიშვნელობით (в переносном смысле), გოგიბერიძე კი ამ განმარტებას პირდაპირი მნიშვნელობით ასაღებს. არის, მე მგონია, განსხვავება! უფრო შემცდარ ახსნას აძლევს ავტორი სიტყვა „რეაქცია"-ს. მისი აზრით, რეაქცია, „უკუბრუნება, ბუნებრივ საწინააღმდეგო მოვლენა"-ა. ვფიქრობ, რომ ვერცერთი ბუნებისმეტყველი და ქიმიკოსი ვერ დაეთანხმება ამ განმარტებას. რეაქცია ბუნების საწინააღმდეგო მოვლენა არ არის; პირიქით, ის სრულებით ემორჩილება ეგრეთ წოდებულ ბუნების კანონებს. ხომ არსებობს ქიმური რეაქციის კანონები!

თქვენ სწერდით, რომ აჭარელების მათემატიკური ნიჭი „უახლოვდება კაპკაზის მათემატიურ ნიჭს". მე არ მოგიწონეთ ეს მაგალითი და, როგორც სჩანს, აღარც თქვენ მოგწონთ ის. მაშ რა საჭირო იყო აჭარ-ზაურის და ვანზაშის ატეხა? მართალია, მე ვსწერდი „არც მატერიალისტური თვალსაზრისია დაცული ამხ. გოგიბერიძის წიგნში". ამით მე სრულებითაც არ მინდოდა იმის თქმა, რომ თქვენ მატერიალისტი არა ხართ. მაგრამ დაცული არ გაქვთ ყველგან მატერიალისტური შეხედულება. არ გჯერათ? დააკვირდით თუგინდ თქვენი წიგნის შესავალს. თქვენ სწერთ პირველყოფილი ადამიანის შესახებ: „იყო რა ბუნების მონა, მას არ შეეძლო პასუხი გაეცა ყველა იმ რთულ მოვლენაზედ, რომელთანაც მას ყოველდღე ჰქონდა დამოკიდებულება; დაახლოებით ამ პირველყოფილობის დროს **ის შეიქნა გონებრივ ცხოველად**, რამაც აიძულა სერიოზული ყურადღება მიექცია ამ საკითხისთვის. ადამიანის წინაშე მისდაუნებლიეთ ისმებოდა საკითხი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ და პირველყოფილისა **მას ჰქონდა სურვილი შეემეცნა თვით** ადამიანი, ანუ გაეგო და გამოერკვია, თუ საიდან წარმოიშვა ის". (ხაზი ჩემია). როგორ შეიქნა გონებრივ ცხოველად? სასწაულით ხომ არ მოხდარა ეს? რატომ „ჰქონდა სურვილი შეემეცნა თვით ადამიანი"?

ნუ კი გაცხარდებით, ამხ. გოგიბერიძე, არამედ დააკვირდით და სთქვით: არის თუ არა აქ მატერიალისტური მიდგომა საკითხისადმი? მე ვფიქრობ, რომ არა. ასეთი ადგილები კი თქვენი წიგნის შემდეგ ნაწილებშიც ბლომათ მოიპოვება. ნუ თუ საჭიროა, რომ ყველა ჩამოვთვალოთ?! აი სწორეთ ეს ადგილები მქონდა მხედველობაში, როდესაც ვსწერდი—„არ არის ნაჩვენები, თუ რა პირობები და გარემოება უწყობდენ ხელს ადამიანის აზროვნების პროგრესს". მე სრულებითაც არ მოვითხოვ თქვენგან ვრცელ ტრაქტატის დაწერას ამ საკითხის შესახებ, მაგრამ „მატერიალისტური თვალსაზრისის" დაცვა ხომ ტრაქტატის დაუწერლადაც შეიძლება?

რაც შეეხება დარვინის მოგზაურობას „ბიგლზე", ეს ფაქტი თვით დარვინის მიერ აწერილია მის ავტობიოგრაფიაში. მამიდან მოგზაურობაზე ნებართვის აღების შემდეგ, დარვინი გაეშურა ფრიც-[illegible] „**другой же день я поехал в Кембридж, повидаться с Генсло, а оттуда в Лондон, чтобы повидаться с Фриц-Роем, и все было слажено**". ქვევით დარვინი ახასიათებს კაპიტანს, და ამბობს, რომ კაპიტანს კინაღამ უარი ეთქვა დარვინისთვის მოგზაურობაზე, რადგანაც გარეგნული შეხედულებისა და ცხვირის მოყვანილობის გამო, კაპიტანს ეფიქრა, რომ დარვინს არ ექნებოდა საკმაო ენერგია და გაბედულება ასეთი მოგზაურობისთვის. მაშასადამე, უარი კაპიტანს დარვინისთვის მოგზაურობაზე არ უთქვია. მხოლოდ ეჭვი შეუვიდა, რომ ი არ გამოდგებოდა და ვერ აიტანდა ხანგრძლივ—5 წლის მოგზაურობას. მაშ მარტო „ცხვირის მოყვანილობა"-ში არ ყოფილა საქმე. გოგიბერიძის წიგნის წამკითხველი კი ასე იფიქრებს და გაოცდება კიდეც, თუ რატომ არ მოეწონა კაპიტანს დარვინის ცხვირის მოყვანილობა. მადლობას მოგახსენებ ამხ. გოგიბერიძეს კეთილი რჩევისთვის; მე ყოველთვის მზად ვარ განმეორებით ვიკითხო დარვინის და სხვა ბუნებისმეტყველთა ნაწერები, მასაც ვურჩევდი ასევე მოქცეულიყო. გოგიბერიძე სწერს: „კარგი მეცნიერული გამოკვლევა და მაგალითები ბიოლოგიაში მოგვცა მხოლოდ დარვინმა. ასეთი ელემენტარული საკითხის უცოდინარობა არ მოგეტოვებათ"-მაძლევს ის შენიშვნას. გამოდის, რომ დარვინის გარდა გოგიბერიძე არც ერთ ბიოლოგს არ სცნობს ყურადღების ღირსათ, რადგანაც კარგი მაგალითები მხოლოდ დარვინს მოუცია: მე კი ვფიქრობ, რომ დარვინს გარდა, სხვა ბიოლოგებმაც, როგორიცაა, მაგალითად, უოლესი, ჰეკკელი ჰესლი და მრავალმა სხვებმაც ძალიან კარგი გამოკვლევები და მაგალითები მოგვცეს.

თუ ამხ. გოგიბერიძეს კარგ მეცნიერულ მაგალითად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ ბავშობის დროს ის ბაბუამისმა გალახა და ისე სტიროდა, რომ ძაღლსაც კი შეეცოდა? (გრ. გოგიბერიძე, „ადამიანის წარმოშობა" გვერდი 52—53). დამეთანხმეთ ამხ. გოგიბერიძე, რომ ასეთი მაგალითების ჩამოთვლა მეცნიერულ კვლევაძიებას და საკუთარ მეცნიერულ შეხედულებათა გამოთქმას არ ნიშნავს.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. გოგიბერიძე სწერს.

„უმთავრესი ფრონტი, რომლიდანაც თქვენ ჩემზე იერიში მოიტანეთ—ეს ქართული ენის უცოდინარობაა" დიახ! ამხ. გოგიბერიძე, თქვენი ქართული მე არ მომწონს, მაგრამ იერიშის მოტანა და ფრონტის გამართვაზე მაინც არ მიფიქრია. თქვენ თვითონვე სწერთ, რომ ქართულის კარგათ ცოდნას ვერ დაიკვეხნით, მაგრამ მაინც კონტრ იერიშით მიპასუხებთ მაგრამ თუ ენის მცოდნე არ ბრძანდებით, ნება მომეცით თქვენი იერიში უპასუხოთ დავტოვო, რომ მკითხველს დიდი დრო არ წავართვათ გრამატიკული და ლინგვისტური ვარჯიშობით. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ თქვენ მიერ მოყვანილი ამონაწერები ჩემი წერილიდან ყოველ შემთხვევაში სრულებით გასაგებია მკითხველისათვის, ხოლო თქვენს წიგნში ზოგიერთ ადგილას ისეთი ქართულია ნახმარი, რომ მკითხველს ძალიან გაუჭირდება აზრის გაგება.

რაც შეეხება თქვენი წიგნის გავრცელებას, მე სრულებითაც არ ვყოფილვარ წინააღმდეგი მისი [illegible] ლიტერატურის უქონლობის გამო მუშები იძულებული იქნებიან დროებით თქვენი წიგნით ისარგებლონ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თქვენი წიგნი უნაკლოა. თქვენ თვითონვე სწერთ ჩემს საპასუხო წერილში: „ფიქრადაც არ მომსვლია ის, რომ ჩემი წიგნი მეცნიერულ ხარისხს მიიღებდა და სკოლებში გამოდგებოდა, როგორც სახელმძღვანელო". თქვენ აგრეთვე თვითონვე სწერთ, რომ „ქართულის კარგათ ცოდნა"-ს ვერ დაიკვეხნით. მაშ საკამათო რაღა დაგვრჩენია? თითქმის, არაფერი; ყოველ შემთხვევაში მე პირადათ კამათი დათავებულათ მიმაჩნია.

ატომი.

---

*) ვხურავთ კამათს ამ საკითხზე.

რ ე დ.

საქართველოს ს.-დ. პარტიის ყოფილ წევრების განცხადება

(კ ო მ პ ა რ ტ ი ა ს)

1917 წლამდე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორივე ფრთა, როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების, აღიარებდნენ, რომ სოციალიზმი უნდა იშვას კაპიტალიზმისაგან, რომელიც თავის საშოში ატარებს ზემოხსენებულ წყობილების ჩანასახსო.

ამ ნიადაგზე გ. ვ. პლეხანოვი და ვ. ი. ლენინი მთელი წლობით ებრძოდნენ ნაროდნიკების მეთაურს მიხაილოვსკის, ტკაჩევსა და სხვებს.

ამრიგად მარქსისტულ ეკონომიკაში 1917 წლამდე, ამ საკითხში განსხვავება ორ ფრაქციათა შორის არ ყოფილა.

1917 წლის რევოლუციის მეორე დღეს, საერთაშორისო ძალთა დაფასებისა და რუსეთის საწარმოო ძალთა ჩამორჩენილობის გათვალისწინების ნიადაგზე, ორი ფრაქცია საბოლოოდ დასცილდა ერთმანეთს.

ერთი დაადგა რევოლუციონურ სოციალიზმის (ბოლშევიკები), ხოლო მეორე (მენშევიკები), როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, ოპორტიუნიზმის გზას, თავის კლასიურ მტერთან—ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზას და ამით სოციალიზმის განხორციელების იდეიას უნებურათ დაშორდა.

ს.-დ. მ. პ.-ის მენშევიკების ფრთა ამბობდა, რომ ევროპის ომმა მოშალა და გაანადგურა საწარმოო ძალები, დაქსაქსა მუშათა კლასი, მიანგლა საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობა, დასცა პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება, და ამიტომ ჯერ უნდა აღდგენილ იქნას ყველა ესენი და უმთავრესად საწარმოო ძალები, რისთვისაც აღიარებულ უნდა იქნას ბურჟუაზიასთან კლასიური თანამშრომლობა და შემდეგ უნდა დაისვას საკითხი სოციალური რევოლუციის შესახებო.

ერთი სიტყვით, თებერვლის რევოლუცია, მსგავსად საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციისა, აღიარებული იქნა წმინდა ბურჟუაზიულ რევოლუციად, რის გამო მენშევიკური ფრთა ს. დ. მ. პ.-ისა გაექცა ხელისუფლებას და, როგორც ვსთქვით, ბურჟუაზიასთან კოალიცია აღიარა.

რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ თვით საწარმოო ძალებით ჩამორჩენილ რუსეთმა შესძლო ოქტომბრის გადატრიალების დღიდან-დღემდე, არა თუ შეენარჩუნებია ძალა-უფლება, არამედ [illegible] გამოსულიყო იმ ისტორიაში არნახულ სამოქალაქო ომებიდან, რომელსაც ოქტომბრის რევოლუცია აწარმოებდა ყოველი ჯურის კონტრ-რევო[illegible]

და თუ ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო გამარჯვებია რუსეთში, აშკარაა ის უფრო გაიმარჯვებდა და გაიმარჯვებს ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც „ობიექტიური" და „სუბიექტიური" პირობები, როგორც მაშინ, ისე ეხლაც გაცილებით უფრო მეტად არის მომზადებული.

აქედან ცხადია, შეცდომით უნდა იქნას აღიარებული ის აზრი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციას დღენაკლულევანად სთვლიდა.

ამას მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკის შვიდი წლის არსებობის ფაქტი, ამას მოითხოვს ფაქტთა ლოგიკა და საერთაშორისო მუშათა კლასის სამსახური.

მარქსი სწერდა: „კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას შორის არის ხანა ერთის მეორეში გადასვლისა, ამას თან ახლავს პოლიტიკური გარდაქმნის ხანაც, როცა სახელმწიფო უნდა იყოს, მხოლოდ რევოლუციონური დიქტატურა პროლეტარიატისა და სხვა არაფერი"-ო ამასვე ამბობდა კ. კაუცკი 1910 წ., თავის გამოცემაში—путь к власти.—

„ის სწერდა: И как ни стояли МАРКС и ЕНГЕЛЬС за то чтобы использовать разногласия между буржуазными партиями для успехов пролетарского дела как они ни боролись против самого понятия реакционная масса, все-же они выковали понятие о диктатуре пролетариата, как о единственной форме, в которой он может осуществлять государственную власть.

ამ რიგათ თეორიაშიც, პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ერთად-ერთი სახელმწიფოებრივ პოლიტიკური ფორმა, —სოციალიზმში გადასასვლელათ უწინ არ იწვევდა ეჭვს, ხოლო პრაქტიკამ საკითხი თეორიის სასარგებლოთ გადასჭრა.

გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ რევოლუცია დღეს დიდი ხნის გასამარჯვებული იქნებოდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ ყოფილიყო.

მაშინ, როდესაც მთელი ევროპის კონტინენტზე ფაშიზმი იმარჯვებს, რომელიც ყველაზე უსაშინელესი ფორმაა ბურჟუაზიის ბატონობისა, დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრება ვერ იქნება რევოლუციის, რევოლუციონურ ძალების და დემოკრატიის გამტკიცების გარანტია.

ძალას შეიძლება მხოლოდ ძალა დაუპირდაპიროს, ბურჟუაზიის დიქტატურას მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 3 წლის არსებობის ფაქტი ამტკიცებს, რომ ბოლოსა და ბოლოს სრულ დამოუკიდებლობას არც აქ ჰქონია ადგილი.

ყოველი ერის დამოუკიდებლობა სახიერდება მის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების ფაქტში. და თუ ეს ასეა, საბჭოთა სისტემა არის სრული გარანტია, რომ საქართველო შესძლებს რუსეთთან კავშირში აყვავდეს როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. და, ცხადია, აბსოლუტური დამოუკიდებლობა, თუ ასეთი შეიძლება არსებობდეს, ჩვენთვის გაუგებარი ხდება, და მას ორ[illegible] მეოცნებები ფეტიშათ ვერ გაიხდიან.

ვერავინ ვერ დაამტკიცებს იმას, რომ რუსეთში იმ თავითვე ყოფილიყო **დემოკრატიული** რესპუბლიკა, საქართველო არ იქნებოდა ამ კავშირში და თუ ეს ასეა, აქ ახალი არაფერი მომხდარა, ამას გარდა, რომ არსებული ხელისუფლება სცდილობს მივიდეს კავშირში შემავალ ერების სრულ დამოუკიდებლობამდე. ამის სრული გარანტიაა მე 12-და მე 13 პარტიული ყრილობის დადგენილებანი ეროვნულ საკითხში.

რაც შეეხება მე-2-რე ინტერნაციონალს და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, ის აშკარად ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის გზას დაადგა. მან აღიარა კაპიტალთან სრული თანამშრომლობა და ამით რევოლუციონურ სოციალიზმის იდეას უღალატა.

კ. კაუცკი, რომელიც 1905 წლის თავის გამოცემაში: „Экономическое развитие и обществен. строй" სწერდა: „Не следует переоценивать значения общественных реформ, и полагать будто при их посредстве возможно удовлетворительным образом изменить существующие условия Девять-десятых проэктов реформ не только безполезны для рабочих, но прямо идет во вред их", და ამნაირათ აურთხილებდა რა მუშათა კლასს ზედმეტი რეფორმებისაგან, თვითონ გახდა რეფორმისტი. რევიზიონიზმის მამამთავარს, ბერნშტეინს ხელი ჩამოართვა.

ეს არის ფაქტი მე-2-რე ინტერნაციონალის იდეური კრახისა და პოლიტიკური ბორძიკისა.

ამას ამტკიცებს უკანასკნელი 8 წლის ისტორია, 1914 წლიდან ომიდან მოყოლებული—დღემდე.

მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩვენ მაინც გვეგონა დღემდე, რომ საქ. ს. დ. მ. პ. არ გასცილდებოდა თავის ოპორტიუნისტულ თეორიას.

ჩვენ მოველოდით, რომ ყბედს მუნჯი გააჩერებდა. მოველოდით, რომ მენშევიკური პარტია, როგორც ისტორიისაგან განწირული, ბოლოსა და ბოლოს თავის ქერქშივე ჩაიხრჩობოდა.

28—30 აგვისტოს ს. დ. მ. პ. ნაციონალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების მიერ მოწყობილი (გამოსვლა) ამტკიცებს, რომ ეგრეთ წოდებული პარიტეტული კომიტეტის თავხედობა მარტო თეორიის საკითხი როდია.

ისინი და განსაკუთრებით ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ დაკმაყოფილდა მარტო პროკლამაციის წერით და თავისი მზაკვრული განზრახვების სისრულეში მოყვანა მოინდომეს.

28—30 აგვისტოს ამბები ცხადყოფს, რომ ამ ავანტიურაში ურევია ხელი არა მარტო ს. დ. პ-სა, არამედ ეს მოხდა 2-რე ინტერნაციონალის და ევროპის კაპიტალისტების თანხმობითა და დახმარებით.

უკანასკნელად საზღვარ-გარეთის ბურჟუაზიულ პრესაში შექმნილი განგაში, ერთა ლიგის საქციელი და მრავალი სხვა ასეთები, რომლებსაც ადგილი აქვს ამ ჟამად ბურჟუაზიულ ევროპაში, 28—30 აგვისტოს ამბებთან დაკავშირებით, საბოლოოდ ცხადყოფს, რომ საქ. ს. დ. მ. პ. და მეორე ინტერნაციონალი საბოლოოდ დაადგნენ მუშათა კლასის გამცემლობის, ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში ისინი შეუკავშირდნენ ყოველი ჯურის კონტრ-რევოლუციას, რომ ს. დ. მ. პ. საბოლოოდ ასცდა ორთოდოქსალურ მარქსიზმის სწორ გზას და კონტრ-რევოლუციონურ ავანტიურაში გადაიჩეხა.

ყოველივე ამის გამო ჩვენ დავსტოვეთ ის პარტია, რომელშიც 10—წლობით ვირიცხებოდით და რომელსაც ვამაგრებდით, როცა ჩვენ ვიგრძენით სიყალბე იმ გზისა, რომლითაც ამდენი ხანი ვიდოდით—დავსტოვეთ ის, მაგრამ დავსტოვეთ არა იმიტომ, რომ **გულზე ხელები დაგვეკრიფა მაშინ, როდესაც ხდება გადამწყვეტი ბრძოლა შრომისა და კაპიტალის შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბში, არამედ იმიტომ, რომ მივსულიყავით იქ, სადაც ჭეშმარიტება გვეგულება, ჩავმდგარიყავით ჭეშმარიტ რევოლუციონერების რიგებში და გაგვეწია საერთო ძალით სოციალური რევოლუციისაკენ.**

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, მიაქანებს კაცობრიობას მსოფლიო ოქტომბრისაკენ, რომ სულ მალე ჩვენ **უნდა ჩავებათ გადამწყვეტ ბრძოლაში** [illegible] **გვეძლია გულზე ხელდაკრეფილი** ვ[illegible]თ **და ბარიკადებს უკან ვიმალებოდეთ.**

ჩვენ კარგათ გვესმის სიმძიმე და პასუხისმგებლობა მომენტისა და გვწამს, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგომა, მისი გამაგრება და გამტკიცება ნაკარნახევია ისტორიული აუცილებლობით.

ამ გადაწყვეტილებით მოვედით თქვენთან, რომ ამიერიდან ჩვენ შევიქნებით სრულუფლებიანი წევრი კომუნისტური პარტიის ოჯახისა.

ამხანაგური სალამით: 1) ვ. ანდღულაძე, 2) ი. ჯაშუა, 3) პ. კანდელაკი. 4) ვ. ბერაძე.

ს. ს. ს. რ. ქიმიის მოყვარულთა საზოგ. პრეზიდიუმი

მოუწოდებს ყველა „ქიმმოყვარულ" წევრებს და [illegible] მიმართონ საჭირო ცნობების და [illegible] საზოგ. ტეხნიკურ მდივანს—ამხ. ზუბენკოს, [illegible] დივიზიის შტაბის № 8 ოთახში.

ს. ს. ს. რ. ქიმიის მოყვარულთა საზოგ. საქართ. პრეზიდიუმის თავმჯდომარე: **თ. ელენტი.**

შაბათს, ა/წ 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე,

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში

(ოთახი № 1) დანიშნულია

ულმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ზამესკომის შესახებ.
2. სომხის ქუჩის გაფართოების პროექტში შეტანილ ცვლილებების შესახებ.
3. ტელეფონის ქსელის ქალ. [illegible]ზე გადმოცემის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნის. 286 2—1. **პრეზიდიუმი.**

მოქ. ვ. კოტეტიშვილს*)

გაეცანი რა სიტყვიერი გადმოცემით თქვენ მოხსენებას, რომელიც წაკითხული იყო თქვენ მიერ რუსთაველის თეატრში 3 ამა თვეს, საჭიროთ ვცანი შევიტანო მასში ზოგიერთი ფაქტიური შესწორებანი.

მე არ შევეხები თქვენი მოხსენების მეცნიერულ მხარეს: ის ხელთ არ მაქვს და ამიტომ შეუძლებელია ჩემთვის რაიმე ვსთქვა მის შესახებ. მე მხოლოდ შევეხები იმ კერძო წერილებს, რომლითაც თქვენ ასე დახელოვნებით ისარგებლეთ დიმიტრი ყაზბეგის დახასიათებისათვის.

დავიწყებ სოლომონ ყაზბეგის წერილით.

სოლომონ ყაზბეგის ჩვენება თავიდან ბოლომდე სიცრუეა. სახელდობრ: დიმიტრი ყაზბეგის გარდაცვალების მიზეზი არა ის იყო, რომელსაც ასახელებს სოლომონ ყაზბეგი თავის წერილში; პირიქით, ყველამ იცის, რომ დიმიტრი ყაზბეგი გაცივდა ნადირობისას, რომელსაც ზედ დაერთო ფილტვების ანთება, და ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

მეორე სიცრუე არის ის, რომ დიმიტრი ყაზბეგის ავადმყოფობის ხანში და თვით მისი გარდაცვალების წუთებშიაც, მისი მეუღლე ანასტასია (ტასო) თითქოს მასთან ყოფილიყოს. დიმიტრის ცოლი იმ დროს იყო თავის სახლს, სამშობლოში, ჩრდილო-კავკასიაში. ამის შემოწმება შეიძლება: დიმიტრი ყაზბეგის ცოლი ახლაც ცოცხალია, ცხოვრობს კავკავში და იძლევა მეტად სწორ და სანდო ცნობებს და შორსაა ყოველგვარ ინტრიგებისაგან.

შემდეგ. სოლომონ ყაზბეგის ჩვენებით, დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა, თითქოს, არა 1880 წელს, არამედ 1882-შიო. ეს არაა მართალი, რადგან მე, ყველაზე უმცროსი ქალიშვილი დიმიტრისა, დავიბადე მისი გარდაცვალების შემდეგ, 12 აპრილს 1880 წ. და დიმიტრი კი მიიცვალა იმავე 1831 წელს თებერვალში. ხოლო 1881 წ. ალექსანდრე 2 მოკვლის შემდეგ, ჟანდარმები ეძებდნენ დიმიტრი ყაზბეგს, რომელიც უკვე გარდაცვალებული იყო.

შემდეგ იგივე სოლომონ ყაზბეგი სწერს და თქვენც იმეორებთ, რომ დიმიტრი ყაზბეგს მელანიც არ ჰქონია და მელანზე სოლომონ ყაზბეგთან გზავნიდა კაცსო. როგორ მოხდა ეს? დიმიტრი ყაზბეგი, რომელიც ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეების ჩვენებით—ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, პოლტორაცკი და სხვ.—იყო ერთი უგანათლებულესთაგანი ქართველ ინტელიგენციის შორის, რომელმაც მიიღო განათლება არა მარტო რუსეთში, აგრეთვე ევროპაშიაც (დაასრულა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი),—იმდენად დაეცა და დაკნინდა, რომ მას საწერი მოწყობილობაც არ გააჩნდა სახლში? და მერე ვისთან გზავნიდა იგი ასეთისათვის?—სოლომონ ყაზბეგთან. რისი გულისათვის ასე შორს, მოქ. სოლომონ ყაზბეგო? აკი გვერდში სანდრო ყაზბეგის სახლი იყო!? დიახ, დიდებული და საუცხოვო მასალაა დიმიტრი ყაზბეგის არარაობის დასამტკიცებლად!...

თქვენ, სოლომონ ყაზბეგის ნათქვამიდან, აცხადებთ, რომ იგი სამი კვირის წინეთ იყო ყაზბეგში და ელაპარაკა დიმიტრი ყაზბეგის თანამედროვე დი მის ნამოწაფარმა იობა ლუდუშაურს და თითქოს მას, ლუდუშაურს, სოლომონ ყაზბეგის შეკითხვაზე, სწერდა თუ არა რამეს დიმიტრი ყაზბეგიო, ეთქვას მისთვის, რომ „დიმიტრი ყაზბეგს მეურმეების ბილეთების მეტი არაფერი უწერია"-ო. არ ვიცი ასე სთქვა მართლაც იობა ლუდუშაურმა და მისი ეს ნათქვამი შეეხება თუ არა დიმიტრი-ყაზბეგს... მაგრამ ფაქტია რომ ის, როგორც ერთ-ერთი ჭეშ[illegible]ლი ხნის განმავლობაში ცხოვრებისა ჩემი ქმრის სერგი ლოლობერიძის მიერ დაკითხული ლარსში—1916 წ., სრულიად სხვას და წინააღმდეგს ამბობდა მიტკას ცხოვრებაზე (ასე ეძახოდენ მას მთაში), ვიდრე სოლომონ ყაზბეგი მას აწერს. როგორ მოხდა, რომ ის დღეს სულ სხვა ჩვენებას იძლევა?

რამდენიმე სიტყვა მოქ. მიხეილ ჩოფიკაშვილის ჩვენების თაობაზე.

მოქ. ჩოფიკაშვილი ამბობს, რომ ის პირველად იგებს ზანდუკელის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, რომ მითქმა-მოთქმა და ეჭვები იბადება ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობისა. ეს არაა მართალი. ჩოფიკაშვილი ა. წ. აგვისტოში ეუბნებოდა ჩემს ქმარს, რომ ამ საკითხის შესახებ მას ჰქონდა ბაასი ჩემს უფროს ძმა—როსტომ ყაზბეგთან 1920 წ., როდესაც როსტომ ყაზბეგს უნდოდა საქმე აღეძრა და მიხ. ჩოფიკაშვილი—კი არწმუნებდა მას—არ აეტეხა ხმაური. როგორ გავიგოთ ყველა ეს? კარგი იქნებოდა ამის შესახებ თვით მიხ. ჩოფიკაშვილი იტყოდეს რამეს.

რაც შეეხება გიორგი თოფაძეს, ვიტყვი, რომ მას საერთო არა აქვს რა მამა მის ანდრია თოფაძესთან, რომელიც, ჩვენის ცნობით, სრულიად სხვა აზრის იყო დიმიტრი ყაზბეგზე, იმდენად კარგათ იცნობდა იგი მას.

თუ შევეხებით იმას, როგორ გარემოებაში იყო გატეხილი განჯინა (კედლის შკაფი), ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ფაქტი რჩება ფაქტად: განჯინა გატეხეს ალექსანდრე ყაზბეგმა და ალიოშკა შადურმა, და მხოლოდ თქვენთვისაა სადაო, იყო ელისაბედ ყაზბეგი გატეხისას დამსწრე თუ არა. განჯინა გატეხეს დიმიტრი ყაზბეგის ცოლის ჩამოსვლამდე.

ნუ თუ ახირებული და საკვირველი არაა, მოქ. კოტეტიშვილო, რომ დიმიტრი ყაზბეგის სიკვდილის შემდეგ მის სახლში ქაღალდის ერთი ნაფლეთიც არ დარჩენილა... დიმიტრის შვილებმა არ ვიცით მამის ხელი [illegible] დამშვიდებული სინდისით შეუძლია მოსურნეს საქვეყნოთ განაცხადოს, რომ დიმიტრი ყაზბეგს მელანიც რათ უნდოდა, როდესაც ხელის მოწერაც არ იცოდაო, და საწინააღმდეგოს ვერავინ დაუმტკიცებს დამაჯერებელ საბუთების უქონლობის გამო!

იმ პირთა განცხადებაც არაა მართალი, რომელნიც ამტკიცებენ რომ ალექსანდრე ყაზბეგს არ ჰქონია სახლის ისეთი მდებარეობა, როგორათაც ელისაბედ ყაზბეგი აწერსო.

ასეთი მდებარეობა ნამდვილად იყო დიდ სახლთან მიშენებულ პატარა მიდგმულას (пристройка) სახით. ამ მიშენებულში ადიოდა ის მოძველებული ხის კიბე. ეს მიდგმულა დაანგრევია გიორგი ყაზბეგმა, მას შემდეგ, რაც მან ალექსანდრე ყაზბეგის სახლი იყიდა. ქვის კიბე-კი, რომელიც თქვენ მოიხსენიეთ, სრულიად მოპირდაპირე კედლიდანაა და ამ კიბით შესვლა ფლიგელში ყოვლად შეუძლებელია.

თურმე თქვენ არა ერთხელ შეჰკითხვიხართ „პათოსით": „რა იყო ამ განჯინაში"?-ო და ბოლოს გამოგიცხადებიათ: „იქ იყო კოჭები"-ო. სოლომონ ყაზბეგს არ დაეძრახვის ამის წერა, მაგრამ, თქვენ მოქ. კოტეტიშვილო, ხომ პასუხისმგებელი ბრძანდებით საზოგადოების წინაშე! როდესაც თქვენ ეს სიტყვები საზოგადოების წინაშე წაიკითხეთ, ნუ თუ ფიქრადაც არ მოგივიდათ შეგეტანათ მასში მცირე რამ შესწორება მაინც? მაშინ თქვენ ამ სიტყვებზე ყრუდ, მოუმარეთ ჩავლით ხომ ადასტურებდით მათ და სარწმუნოთ მიიჩნევდით!.. ამ განჯინის ნახვა ახლაც შეიძლებოდა ადგილობრივ და დარწმუნდებოდით, რომ თავის სივრცით დიტევს არა მარტო საოჯახო სიგელებს და კოჭებს, არამედ, მგონი, ყველა ჩვენი მწერალთა ხელთნაწერებსაც.

მე მესმის, რომ თქვენ ყოველნაირივ სცდილობთ დაამტკიცოთ თქვენი აზრი, მაგრამ, რაკი თქვენი თავი მიგაჩნიათ სერიოზულ, მიუდგომელ კრიტიკოსათ, ასეთებს სჩვევიათ უფ[illegible]ბიც, რომელნიც არ მეურაცხყოფენ მიცვალებულის ხსოვნას რომელი ღირსი არის, ყოველ შემთხვევაში თუ მეტი პატივისცემის არა—არაოდეს დაკნინებისა.

განა ეს სათაკილო **არ არის** დააფუძნოთ თქვენი შრომა ისეთ ინსინუაციებზე და ბავშურ მოგონებებზე, როგორიც არის ქალ. თარხნიშვილი წითელ ყდიანი წიგნი (სიტყვამ მოიტანა და გახარებთ, რომ ეს წიგნი, როგორც ამ დღეებში შევიტყვე, აქვს იმ წერილის ავტორის ბიძაშვილს, რომელმაც ასეთი ძვირფასი ცნობები მოგაწოდათ ალექსანდრე ყაზბეგზე). თუ კი თქვენ მოწადინებული ბრძანდებოდით მიუდგომლად საკითხის გაშუქების, რად არ შეეკითხეთ იმათ, რომლებმაც უშუალოთ განიცადეს ეს ოჯახური ტრაგედია?! თუნდაც ნიკოლოზ ყაზბეგს, ვაჟს დიმიტრი ყაზბეგისას და უკანასკნელის მეუღლეს პირველ ყოვლისა უნდა დაეკითხათ იგინი, როგორათაც თქვენ ბრძანდებით, კერძოთ, და შემდეგ მათის ჩვენების შესამოწმებლად მიგემართათ სხვა სანდო პირებისათვის.

თქვენ-კი ცნობები მოჰკრიფეთ ამ სამე პირების შემწეობით და ვინც მოგხვდებოდათ.

მე ძალიან კარგადაც მესმის, რომ მეტად გვიან იქნა აღძრული ეს საკითხი. ეს რომ თხუთმეტი-ოცი წლის წინეთ ყოფილიყო წამოყენებული, სრულებით სხვა ცნობებს მივიღებდით. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეხლაც თუ ეს ასე ხმიანად გამომჟღავნდა, ამაში წილი და ბრალი დიმიტრისიანებს სრულიადაც არ მიუძღვით. მეტად არასამოვ. და ახლობელთათვის სულიერი მშვიდობის ამაფორიაქებელი ფაქტების გამოქვეყნება თან სდევდა საკითხს და ეს აბამდა საქმეს. ჩვენ რომ მოგეწადინებიოს, ამას კიდევაც დავამტკიცებდით.

ახლაც თუ წინ არ აღუდგენ ყოველივეს გამოქვეყნებას, მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერულ ინტერესს და საკითხის აკადემიურ მხარეს გაუწიეს ანგარიში.

ახლა შევეხები დიმიტრი ყაზბეგის მასწავლებლობას.

დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ დიმიტრი ყაზბეგი მასწავლებლობდა როგორც თავის სოფელში, ისე ოსეთში, აულ „გიზელ"-ში. საქმე ამაშია, რომ სადაც უნდა ყოფილიყო, ყველგან მასწავლებელი იყო, ხოლო არაჩვეულებრივი სკოლის მასწავლებელი,—ხალხის მასწავლებელი ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით.

მამასთან გაყრის შემდეგ, ცოლის ჰერთვის ნიადაგზე, წავიდა ხევსურეთში და მეუღლეც თან წაიყვანა. ერთ წელზე მეტი იქ დაჰყო და ჰქონდა მჭიდრო კავშირი ხალხთან. ამავე ხანებში მიმოიარა ყაბარდო, ჩეჩნეთი და ინგუშეთი. შემდეგ გადასახლდა ოჯახით ჩრდილო-ოსეთში. აქ ის როგორც ჭეშმარიტ ხალხოსანმა (народник), აღსავსემ ულამაზეს იდეალებით და იმედებით, ასწავლიდა იმავე ხალხს, დიდსა და პატარას. და როდი იჯდა გულხელ დაკრეფილი. საინტერესოა ვიცოდეთ, სოლომონ ყაზბეგი ამას უთვლის დიმიტრის ცოდვათ თუ მადლად!? არა ერთხელ ჩვენ, მიტკას შვილებს, გვსმენია მოხუცებისაგან, როგორი მოკრძალებით დაცულია მიტკა ყაზბეგის ხსოვნა მთიულებში: მიტკას სახელის ხსენებისას მოხუცები, მისივე ტოლი კაცები, ქუდს მოიხდიდენ და სასოებით ლოცავდენ მის სახელს. პირადათ მე არა ერთხელ ვყოფილვარ ასეთი სურათების მოწმე. ვიმეორებ, ვისი სახელი წმინდათ იყო დაცული მათში, რომელნიც უკეთ იცნობდენ მას, ვიდრე ის მოქალაქენი, რომელთაც თავი მოაქვთ, თითქოს რაღაც იციან დიმიტრი ყაზბეგის ცხოვრებისა და ნამდვილად—კი არა გაეგებათ ამის შესახებ.

ჩვენ, დიმიტრის შვილებს, რომელთაც არავითარი პირადი დამსახურება არ მოგვიძღოდა ხალხისადმი, მუდამ პატივით და სიყვარულით გვეპყრობოდენ ყველანი, ვინც იმას იცნობდა... ან განა [illegible], ყაზბეგში (სტეფანწმინდაში) [illegible] (საქართველოს სამხედრო გზით), ინგუშების სოფლებში გზად გავლილთ, როგორი [illegible]დები?! მე ვამტკიცებ, რომ მხოლოდ დიმიტრი ყაზბეგისადმი სიყვარულით და პატივისცემით გადარჩენ მისი ქალები უეჭველ ფიზიკურ სიკვდილს [illegible] იგინი ადრევე მოკლეს), თორემ აღიკვებოდენ დედა-მიწიდან.

ბუნება მკაცრი და უხეშია, ზოგჯერ ღალატობს თავისსავე კანონებს, თორემ მე, დიმიტრი ყაზბეგის ქალს რომ გამომჰყოლოდა მისი სულის სილამაზე და, თუნდაც, მესამედი მისი ჭკუისა, შევძლებდი სხვანაირად გამეცა პასუხი თქვენთვის და ჩამეჩუმებია იოლი პოპულიარობის მოყვარენი ხალხი. თქვენ ნუ ფიქრობთ, რომ ყოველივე ამას მე მალაპარაკებს მხოლოდ ეგოისტური გრძნობა ქალისა მამისადმი. სრულებიდაც არა, მერწმუნეთ—ოდენ სამართლიანობა და სიმართლე.

თქვენ შემდეგ ამტკიცებთ—დიმიტრი ყაზბეგი იყო ლოთი.

არაა ეს მართალი.

ის იმგვარადვე სვამდა ღვინოს, როგორც ყველა მისი ახლობელნი და მისივე წრის ხალხი. რაღა ეს ეცემოდათ თვალებში? ნუ თუ იმიტომ, რომ მისი წრის ადამიანები ღვინოს სვამდენ ბროლის ჭიქებიდან დიდებულთა და [illegible]ანოვანთა სახლებში და სალონებში—და ის კი შექცეოდა კათხით (ის სასმისი) ე. წ. მდაბიო ხალხთან ერთად!?

ბევრი რამ ყოფილა, როგორც ამბობს სოლომონ ყაზბეგის წერილში, სამწუხაროდ, მე დაწვრილებით არ ვიცი და ყოველივეს ვერ შევეხები. ერთს-კი ვიტყვი—თუ მთავარ ფაქტებში ასე ცრუობს, დანარჩენებშიაც იგივე იქნება.

რა რჯიდა სოლომონ ყაზბეგს—ფაქტები ასე დაემახინჯებია? ამ კითხვაზედაც შეიძლებოდა მეპასუხნა, მაგრამ არც ღირს და შორსაც წაგვიყვანდა.

ან რას ნიშნავდა კილოგამოცვლილი და ხაზგასმით ნათქვამი თქვენი სიტყვები:—„სტეფანწმინდაში ჟანდარმებს დაემალაო!?" (მიტკას შესახებ.). ვითომც აქ შეუძლებელი რამ [illegible] და თვით ოთახშიაც ვერ ეპოვნა დასაჭერი კაცი პოლიციას.

რამდენადაც მე მახსოვს, მოქ. კოტეტიშვილო, თქვენ პირადათ მე მითხარით, რომ მოწმეების ჩვენებას, მით უფრო შეუმოწმებელს, თქვენ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევთ, რადგან ბოთლ ღვინოზე შეიძლება კაცი ალაპარაკო ისე, როგორც გინდაო. შეიძლიან მოვაგონოთ თქვენ, თუ აგეთი ექსპერიმენტებისათვის ობიექტიც გიპოვიათ.

თქვენ, ნიკოლოზ ყაზბეგის სიტყვებს და ჩვენებას არავითარ ნდობას უწევთ, თუმცა ნიკოლოზ ყაზბეგს ყველა მცოდნენი დაადასტურებდენ, რომ მას არ შესწევდა ფანტაზიის ნიჭი და არც წინასწარ მოსაზრებით ფაქტების დამახინჯებისა. ის, რაც მან სთქვა მოქ. მიხ. ზანდუკელთან, ამბობდა ყველგან და ყოველთან.

მთელი ეს ტრაგედია მან პირადათ გადიტანა თავზე და მცირე დეტალებიც ნათლად ახსოვდა, რაც მამა მისის ჯერ გაუცივებელ ცხედრის წინაშე ხდებოდა. თქვენ-კი ერწმუნებით ყოველივე არ ყოფილს.

თქვენი მოვალეობა იყო, როგორც კრიტიკოსის, მიუდგომლად, წინდაწინ აღებულ აზრის გარეშე, მეცნიერულის თვალსაზრისით მიდგომოდით საკითხს. მაგრამ, მიკვირს, რომ თქვენ ეს არ ჰქენით.

წერილის დასასრულს არ შემიძლია არ მოგახსენოთ: მე სრულიად არ მოველოდი თქვენგან, თუ თქვენ დაუშვებდით ისეთი წერილის წაკითხვას, სადაც გარდა სიცრუისა და პასკვილისა, არაფერია. ამ გზით საკითხი არ გადაიჭრება და თქვენ, ეჭვს გარეშეა, ვერც გადაწყვეტთ.

ა. ლოლობერიძე.

---

*) [illegible] აღძრული საკითხი კვლავ [illegible] საზოგადოებას, ჩვენ საშუალე[illegible]